პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 41 (9509) | ოთხშაბათი, 18 თებერვალი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში

კადრები პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის გადამწყვეტი ძალაა — «პრავდის» 16/II მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელი (1-ლი გვერდი).
პარტიულ თემაზე — გავამახვილოთ პოლიტიკური სიფხიზლე, აღმოვფხვრათ უდარდელობა და დოყლაპიობა (მე-2 გვერდი).
კომუნიზმის გამარჯვებისათვის მტკიცე მებრძოლი (მე-2 გვერდი).
ონის რაიონი არჩევნების წინ (მე-2 გვერდი).
დიდი რეზერვები ჯერ კიდევ გამოუყენებელია (მე-3 გვერდი).
კ. სოხაძე — საფინანსო ორგანოებისა და შენახვების სალაროების დიდმნიშვნელოვანი ამოცანა (მე-3 გვერდი).
«ჯოინტი» ამერიკის დაზვერვის ფილიალია (მე-3 გვერდი).
საერთაშორისო მიმოხილვა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

კადრები პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის გადამწყვეტი ძალაა

⊙

„პრავდის“ 16/II მოწინავე

⊙

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათ, ი. ბ. სტალინის გენიალური შრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შეიარაღებული ჩვენი პარტია სასიცოცხლო ძალებითა და შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე მიდის წინ. ახალი დიადი ამოცანების შესაბამისად პარტია აძლიერებს პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობას კადრების სწორი შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის.

ამხანაგმა სტალინმა კადრებს უწოდა პარტიისა და სახელმწიფოს ოქროს ფონდი, პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის გადამწყვეტი ძალა.

„მას შემდეგ, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — რაც მოცემულია სწორი პოლიტიკური ხაზი, საჭიროა ისე შევარჩიოთ მუშაკები, რომ პოსტებზე იდგნენ ადამიანები, რომლებსაც შეეძლებათ განახორციელონ დირექტივები, შეეძლებათ გაიგონ დირექტივები, შეეძლებათ მიიღონ ეს დირექტივები, როგორც საკუთარი გულისნადები, და შეეძლებათ გაატარონ ისინი ცხოვრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკა აზრს კარგავს,-ხელების ძნევად იქცევა“.

ლენინ — სტალინის პარტია ზედიზედ აღწევს გამარჯვებას იმიტომ, რომ იგი თავის პოლიტიკურ ხაზს ყოველთვის განამტკიცებს ფართო ორგანიზატორული საქმიანობით. პარტიას მთელი თავისი მოღვაწეობის ქვაკუთხედად მიაჩნდა და მიაჩნია კადრებთან მუშაობა, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინურ-სტალინური პრინციპების თანმიმდევრული განხორციელება.

ჩვენმა პარტიამ მრავალრიცხოვანი კადრები გამოაწრთო სახალხო მეურნეობის, კულტურის, ჩვენი ქვეყნის მართვის ყველა დარგისათვის. ეს უდიდესი მიღწევაა. მაგრამ ჩვენ ვერ დავჯერდებით და უფლება არა გვაქვს დავჯერდეთ მიღწეულს და წარმატებებს იქით ვერ ვხედავდეთ ნაკლოვანებებს.

პარტიის XIX ყრილობამ აღნიშნა, რომ ადამიანების სწორი შერჩევა და შესრულების შემოწმება ჯერ კიდევ არ გამხდარა ნამდვილად მთავარი საქმე ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელ საქმიანობაში. ყრილობამ აღნიშნა ძირითადი ამოცანა კადრების შერჩევის საქმეში. ეს არის ის, რომ ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ მუშაკთა თვისებრივი შემადგენლობა, განვამტკიცოთ ჩვენი პარტიული, სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციები პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებისადმი ერთგული ადამიანებით, რომლებმაც კარგად იციან საქმე და შეუძლიათ წინ წასწინონ იგი. ამ ამოცანის შესრულების უზრუნველსაყოფად პარტიული ორგანიზაციები კადრების შერჩევის მთელ პრაქტიკულ საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდნენ ლენინურ-სტალინური პრინციპებით.

სწორად გავანაწილოთ მუშაკები — ეს იმას ნიშნავს, რომ შევარჩიოთ ისინი, ჯერ-ერთი, პოლიტიკური ნიშნის მიხედვით, ესე იგი პოლიტიკურად სანდონი არიან თუ არა, და, მეორე, საქმიანი ნიშნის მიხედვით, ესე იგი გამოსადეგი არიან თუ არა ამა თუ იმ კონკრეტული სამუშაოსათვის.

ეს პრინციპი იმას ნიშნავს, რომ პასუხსაგებ პოსტებზე ყველა ხაზით უნდა დავაწინაუროთ სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგული, უაღრესად იდეური ადამიანები, რომლებიც ყველაფერზე მაღლა აყენებენ პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

მაგრამ ფაქტები ცხადყოფენ, რომ კადრების შერჩევისა და განაწილების სწორი პრინციპი ზშირად ირღვევა. ზშირია შემთხვევები, რომ მუშაკების დანიშვნაში ხელმძღვანელობენ ძმაბიჭობით: ადამიანებს არჩევენ მეგობრული ურთიერთობის, პირადი ერთგულების, მეზობლობისა და ნათესაობის მიხედვით. ზშირად პატიოსან და საქმის მცოდნე, მაგრამ ფხიან, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელ და ამიტომ ხელმძღვანელობის შემაწუხებელ მუშაკებს თავიდან ეშორებენ სხვადასხვა საბაბით და ცვლიან საეჭვო ღირებულების ან საქმისათვის სრულიად გამოუსადეგარი ადამიანებით, რომლებიც სამაგიეროდ მისაღები და სასურველი არიან ზოგიერთი ხელმძღვანელისათვის.

მუშაკთა ასეთი შერჩევა უაღრესად მავნე და ანტიპარტიულია, რადგან ასეთი მანკიერი პრაქტიკის დროს პასუხისმგებელ მუშაკთა ხელმძღვანელი ჯგუფის ნაცვლად იქმნება ერთმანეთის მახლობელ ადამიანთა ოჯახი, არტელი, რომლის წევრებიც ცდილობენ მშვიდობიანად იცხოვრონ, ერთმანეთს არ აწყენინონ და შინიდან ამბავი არ გაიტანონ. ასეთ ვითარებაში ვერც თვითკრიტიკა იქნება და ვერც ნაკლოვანებათა კრიტიკა.

აი ამიტომ საჭირო, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა შეურიგებელი ბრძოლა აწარმოონ შინაურულობასა და ურთერთთავდებობასთან, რომ ისინი მტკიცედ იცავდნენ პარტიის მიერ დადგენილ პრინციპებს — სწორად შეარჩევდნენ და ანაწილებდნენ კადრებს მათი პოლიტიკური და საქმიანი თვისებების და არა მეგობრული ან მეზობლური ურთიერთობის მოსაზრებათა მიხედვით.

ზოგიერთი ორგანიზაციისა და დაწესებულების ხელმძღვანელი საქმოსნურად ეკიდება კადრების შერჩევას. ეს გამოიხატება მუშაკებისადმი ისეთი მიდგომით, როცა ინტერესს იჩენენ მხოლოდ მათი საქმიანი თვისებებისადმი და ნაკლებად აინტერესებთ ან სულაც არ აინტერესებთ მათი პოლიტიკური ფიზიონომია. ამას წინათ გაიმართა ლიტკინ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც მოიყვანეს ფაქტები, რომ კადრების შერჩევაში აპოლიტიკურობასა და უდარდელობას იჩენენ რესპუბლიკური გაზეთის „ტიეხის“ რედაქციაში, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროსა და ხაშენ მახალათა მრეწველობის სამინისტროში. ეს მანკიერი პრაქტიკა შესაძლებელი გახდა უდარდელობის შედეგად და იმის დავიწყების შედეგად, რომ პარტიულ მუშაობაში პოლიტიკური მიდგომა მთავარი და ძირითადია.

ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში ლიკვიდირებულია ექსპლოატატორული კლასები, როცა სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე წარმოიშვა და განმტკიცდა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, კლასობრივი ბრძოლის მახვილი მიმართულია გარეთ — საერთაშორისო ასპარეზისაკენ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეიძლება შევასუსტოთ სიფხიზლე და კადრებთან მუშაობაში არ გავითვალისწინოთ, რომ აუცილებელია მუშაკთა პოლიტიკური თვისებების შემოწმება. ჩვენ მხედველობიდან ვერ გავუშვებთ იმას, რომ ჩვენში კვლავ არიან ბურჟუაზიულ შეხედულებათა ნაშთები და ამ შეხედულებათა მატარებლები — ჩვენი ხალხის ფარული მტრები, რომლებიც, იღებენ რა დახმარებას იმპერიალისტური სამყაროს მხრივ და სარგებლობენ რა ზოგიერთი ჩვენი ადამიანის დოყლაპიობით, ვნებას გვაყენებდნენ და ეცდებიან კვლავაც გვავნონ.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ სიფხიზლე კადრების შერჩევის დროს, მტკიცედ ებრძოლონ უზრუნველობას, უდარდელობასა და დოყლაპიობას ამ საქმეში, რითაც აღკვეთონ იმის შესაძლებლობა, რომ მტრული ელემენტები შეიპარონ სამუშაოდ პარტიულ, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ორგანოებში.

პარტიული ორგანიზაციები ყოველი ღონისძიებით უნდა აუმჯობესებდნენ კადრების შერჩევას პოლიტიკური ნიშნის მიხედვით და მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ პოლიტიკური მიდგომა არ შეიძლება გადავაჭიოთ ერთადერთ და ამომწურავ მიდგომად, როცა ადამიანებს აინტერესებთ მუშაკთა პოლიტიკური ფიზიონომია, მაგრამ არ აინტერესებთ მათი საქმიანი თვისებები.

ჩვენი ქვეყნის განვითარების ახლანდელ ეტაპზე, როცა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით, ხოლო საბჭოთა ხალხის კულტურული დონე განუზომლად ამაღლდა, ხელმძღვანელი კადრებისადმი მოთხოვნები უფრო მაღალი გახდა. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, პარტიულ და სახელმწიფო აპარატში ხელმძღვანელობის საქესთან უნდა იდგენენ კულტურული, თავიანთი საქმის მცოდნე ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ ახალი სიო შეიტანონ საქმეში, მხარი დაუჭირონ ყოველივე მოწინავეს, პროგრესულს და შემოქმედებითად განავითარონ იგი.

ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც თავიანთი სიზარმაცისა და უდარდელობის გასამართლებლად ზშირად იმიზეზებენ მუშაკთა ნაკლებობას. ნაცვლად იმისა, რომ ზედმიწევნით შეისწავლონ კადრები, მზრუნველობით გამოზარდონ და აღზარდონ ახალი ნიჭიერი მუშაკები, ეს ხელმძღვანელები ამჯობინებენ მუდამ ჰქონდეთ საქმე ერთსა და იმავე ადამიანებთან, დაუსრულებლად გადაპყავდეთ ისინი ადგილიდან ადგილზე, ანგარიშს არ უწევდნენ იმას, რომ ზოგიერთი ამ მუშაკთაგანი სერიოზულ შეცდომებს უშვებს, ან სახელგატეხილიც კი არის და საჭიროებს შეცვლას.

პარტიის კადრები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ კარჩაკეტილ რამედ; კადრები უნდა მრავლდებოდეს პარტიული ახალგაზრდების დაწინაურების გზით. კადრებთან მუშაობას სფუძვლად უნდა ედოს ამხანაგ სტალინის მითითება, რომ საჭიროა **„ავილოთ გეზი ძველი და ახალი კადრების შეხამებაზე, შეერთებაზე პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი მუშაობის ერთ საერთო ორკესტრში“.** ჩვენი დიადი საქმის წარმატება შეიძლება უზრუნველყოთ და კიდევაც უნდა უზრუნველყოთ ხელმძღვანელობაში ახალი ძალების მუდმივი, უნარიანი და დროული ჩაბმით. უნდა აღმოიფხვრას ახალგაზრდა, ნიჭიერი, საქმეში შემოწმებული, პარტიის ერთგული მუშაკების გაბედულად დაწინაურების ჩინოვნიკური შიში.

მუშაკთა დაწინაურებისათვის საჭიროა, რომ პარტიული კომიტეტი იცნობდეს არა მარტო იმ კადრებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ პარტიული, სამეურნეო, სახელმწიფოებრივი მუშაობის ამა თუ იმ უბანს, არამედ იმ მუშაკებსაც, რომლებიც დაწინაურების ღირსი არიან.

კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა კარგად იცნობდე ადამიანებს, ყოველდღიურად სწავლობდე მათ. მაგრამ ბევრი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში არის ფაქტები, რომ კადრების შესწავლას უდგებიან ბიუროკრატიულად, კანცელარიულად, ზშირად მხოლოდ და მხოლოდ ანკეტის მონაცემებისა და ფორმალური ცნობების მიხედვით. მუშაკებს ზშირად ამტკიცებენ დაუსწრებლად ისე, რომ მათთან ცოცხალი ურთიერთობა არა აქვთ. ცხადია, რომ საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების დროს სწორად ვერ გადაწყვეტთ საკითხს, გამოდგება თუ არა მუშაკი იმ სამუშაოსათვის, რომელზეც ის რეკომენდებულია. ეს იწვევს შეცდომებს მუშაკთა დანიშვნაში, კადრების დიდ დენადობას.

მუშაკთა ღირსებანი და ნაკლოვანებანი უწინარეს ყოვლისა მუშაობის პროცესში ირკვევა. ამიტომ მუშაკთა პოლიტიკური და საქმიანი თვისებები უნდა შევამოწმოთ, ამა თუ იმ პოსტისათვის მათი ვარგისობა უნდა გამოვავლინოთ არა მათი დაპირებებისა და დეკლარაციების მიხედვით, არამედ მუშაობის შედეგებით. ამასთან თვითონ შემოწმებას დიდი ხარგებლობა მოაქვს, თუ იგი ხდება არა მარტო კანცელარიებში და არა მარტო ფორმალური ანგარიშების მიხედვით, არამედ უწინარეს ყოვლისა მუშაობის ადგილზე, მუშაობის ფაქტიური შედეგების მიხედვით. მხოლოდ ასეთი შემოწმება გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ კარგად გავიცნოთ მუშაკი და გავარკვიოთ მისი ნამდვილი თვისებები.

შესრულების შემოწმება განუყრელად დაკავშირებულია კადრების შერჩევის ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ამოცანასთან, კადრების შესწავლასთან. შესრულების შემოწმება, განსაკუთრებით თუ იგი შეხამებულია ქვემოდან შემოწმებასთან, ფართო მასების მხრივ ნაკლოვანებათა კრიტიკის გათვალისწინებასთან, — კადრების შესწავლის, მათი თვისებების ობიექტური შეფასების დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა. იგი ხელს უწყობს ჩამორჩენილი უბნების გამოვლინებას და ამ უბნების გამოცდილი მუშაკებით განმტკიცების ღონისძიებათა დროულად განხორციელებას. შემოწმების შედეგების შესაბამისად უნდა მოვიშოროთ ცუდი, გამოუსადეგარი, ჩამორჩენილი, არაკეთილსინდისიერი მუშაკები და შევცვალოთ ისინი უკეთესი, მოწინავე, პატიოსანი ადამიანებით. შესრულების შემოწმება ხელს უწყობს ახალი ადამიანების დაწინაურებას, რომლებსაც უნარი შესწევთ წინ წასწინონ საქმე, რომლებიც იცავენ სახელმწიფოს ინტერესებს.

კადრებთან მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მათი აღზრდა. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა აღზარდონ კადრები პრინციპულობის, პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესების, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით, პატიოსნებისა და გულმართლობის სულისკვეთებით, ნაკლოვანებებისადმი, ანტისახელმწიფოებრივი, კუთხური და უწყებრივი ტენდენციების ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. კადრებს უნდა ჩაუნერგოთ ისეთი თვისებები, როგორიც არის გამრჯელობა, უბრალოება და თავმდაბლობა, შეურიგებლობა ხმაურისადმი, ყოყოჩობისა და ქედმაღლობისადმი.

აღვზარდოთ კადრები — ეს უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ ვიზრუნოთ მათი მარქსისტულ-ლენინური მომზადებისათვის, პოლიტიკური გამოწრთობისათვის. ამხანაგმა სტალინმა არაერთხელ გაგვაფრთხილა, თუ რა საშიშროება მოელის მუშაკებს, რომლებიც ეფლობიან ამა თუ იმ უწყების მიმდინარე საკითხებში და ეკარგებათ ინტერესი თეორიისადმი, საერთაშორისო და საშინაო ხასიათის პოლიტიკური საკითხებისადმი. მუშაკები, რომლებიც პოლიტიკურ დონეს, მარქსისტულ-ლენინურ შეგნებულობას არ იმაღლებენ, კნინდებიან და იქცევიან მენამეცე საქმოსნებად.

პარტიული კომიტეტების მოვალეობაა მნიშვნელოვნად გააძლიერონ კონტროლი იმისადმი, თუ რა მდგომარეობაშია კადრებთან მუშაობა საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებში. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ გაძლიერდეს საბჭოთა დაწესებულებებისა და სამეურნეო უწყებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა კადრებთან მუშაობისათვის, შევარჩიონ კადრების დარგში მოადგილეთა პოსტებზე გამოცდილი, პოლიტიკურად მომწიფებული მუშაკები, რომლებსაც უნარი შესწევთ განახორციელონ პარტიის ხაზი კადრების დარგში, წინააღმდეგობა გაუწიონ კადრების შერჩევასა და განაწილებაში კუთხურ და ყოველგვარ უწყებრივ ტენდენციებს.

პარტიის XIX ყრილობამ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაგვისახა უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ პარტიული ორგანოების მუშაობა კადრების შესწავლისა და შერჩევის დარგში. მაგრამ ფაქტები ცხადყოფენ, რომ ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაცია როდი აქცევს საჭირო უურადღებას ამ მუშაობას. კადრებთან მუშაობის გაძლიერების შესახებ ყრილობის მითითებებს დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებს პარტიის პენზის საოლქო კომიტეტი. აქ ბევრია კადრების შერჩევის პარტიული პრინციპების დარღვევის ფაქტი, ფორმალურ-ბიუროკრატიულად სწავლობენ მათ, ეშინიათ გაბედულად დაწინაურონ ახალგაზრდა და შემოწმებული მუშაკები. საოლქო კომიტეტს ნაკლებად აინტერესებს, თუ როგორ არის დაყენებული კადრებთან მუშაობა პარტიის საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებში, საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებებში, საჭირო დასკვნებს არ აკეთებს იმ შეცდომებიდან, რომლებსაც ისინი ამ საქმეში უშვებენ.

ამოცანა ის არის, რომ ადამიანთა შერჩევა, ისევე როგორც შესრულების შემოწმება, ნამდვილად გახდეს მთავარი საქმე პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელ საქმიანობაში. საჭიროა, რომ პარტიის საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები სისტემატურად ამოწმებდნენ კადრებთან მუშაობას საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებში, ისმენდნენ პარტორგანიზაციათა ანგარიშებს, ახორციელებდნენ ოპერატიულ ღონისძიებებს გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, უზრუნველყოფდნენ სისტემატურ კონტროლს პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და ბიუროებზე როგორც კადრებთან მუშაობის ზოგადი საკითხების, ისე ხელმძღვანელ მუშაკთა პერსონალური დანიშვნისა და ადგილიდან ადგილზე გადაყვანის საკითხების განხილვისადმი.

კადრების სწორი შერჩევა და განაწილება ორგანიზაციული ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კადრებთან მუშაობის შემდგომი გაძლიერება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში ახალი მიღწევების საწინდარია, ლენინ — სტალინის პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით შესრულების საწინდარია.



რუსთავის რკინიგზელების ახალი ვალდებულება

რუსთავი. (საკ კორ.). ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 32-ე წლისთავის აღსანიშნავად რუსთავში სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის რკინიგზის საამქროს კოლექტივი. რუსთავის რკინიგზელებმა იკისრეს ამ ორი თარიღისათვის დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ვაგონების რემონტის იანვარ-თებერვლის გეგმა შეასრულონ 22 თებერვლისათვის.

რკინიგზელთა თაოსნობამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ქალაქის საწარმოთა კოლექტივებში. მეტალურგებმა იკისრეს ახალი სტალინური ხუთწლედის მესამე წლის პირველი ორი თვის საწარმოო დავალება ვადამდე გაანაღდონ და გეგმის გადამეტებით გამოუშვან დიდძალი პროდუქცია, შრომის ნაყოფიერების გეგმა შეასრულონ 101 პროცენტით, დაზოგონ 300 ტონა სხვადასხვა ლითონი, ამას გარდა 200 ტონა თუჯი, 100 ტონა მაზუთი, 100 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, წარმოების დანაკარგები შეამცირონ 15 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება — 20,7 პროცენტით.

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის ტუნგოს ნაყოფის ჩაბარების წლიური გეგმა

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა 14 თებერვლისათვის 100 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ტუნგოს ნაყოფის ჩაბარების წლიური გეგმა. ჩაბარება გრძელდება.

* * *

ქ. თბილისის ლენინის № 8 საარჩევნო ოლქი

ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელი

22 თებერვალს არჩევნებია. ადამიანები სიხარულით ელოდებიან ამ დღეს. მოუთმენლად ელოდებიან არჩევნების დღეს ლენინის № 8 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები.

ყოველ საღამოს თვალისმომჭრელად ბრწყინავენ დედაქალაქის ლენინის რაიონის აგიტპუნქტებში ელნათურები. ამ დღეებში აგიტპუნქტები ამომრჩეველთა შორის საააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ცენტრად იქცნენ. აგიტატორებს მასებში მიაქვთ მართალი, კომუნისტური სიტყვა, მოუთხრობენ საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებზე, მოუწოდებენ ახალი შრომითი წარმატებებისაკენ.

აი სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სტახანოველი მექვაბე, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, აგიტატორი იოსებ მაჩაიძე საუბარს ატარებს ამომრჩეველთა ბინაზე. იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ გარდაიქმნა ჩვენი სამშობლო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. აგიტატორი ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულ გამარჯვებებზე, კომუნიზმის დიად მშენებლობებზე, იმაზე, თუ რა უდიდეს როლს ასრულებს ჩვენი ქვეყანა ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვამაყობთ ყოველივე ამით. დიდი სტალინის რევოლუციურ ტრადიციებზე აღზრდილი ჩვენი ქარხნის კოლექტივის ათობით და ასობით წევრი სტახანოვურ ვახტზე დგას და დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. მათ შორის არიან პარტიის XIX ყრილობის დელეგატი მჭედელი კ. ილურიძე, ნოვატორი ხარატი ი. ჭუმბურიძე, სტახანოველი მექვაბე ლ. მარგიშვილი, სტახანოველი ზეინკლები ი. მამუჩაიშვილი, ა. ახობაძე და მრავალი სხვა. მეც სტახანოვურ ვახტზე ვდგევარ და ყოველდღიურ დავალებას 200-250 პროცენტით ვასრულებ. მეოთხე ხუთწლედში 10 წლის გეგმა შევასრულე, ხოლო 1951-1952 წლებში — 4,5 წლისა. სამაგალითო ადამიანები ჰყავს ჩვენს ქარხანას. მათ არ აკმაყოფილებთ მიღწეული, რადგან შეგნებული აქვთ საკუთარი შრომის მნიშვნელობა ჩვენი სამშობლოს კიდევ უფრო გაძლიერებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეებში ისინი განსაკუთრებული თავდადებით იბრძვიან მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად. სტახანოვურ ვახტზე მდგომი ახალგაზრდა მჭედელი მიხეილ ვაშაკიძე ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებს, მას არ ჩამორჩენიან მისი მეგობრებიც — ჩქაროსანი ხარატი სურენ შირინიანი და დურგალი შალვა ფეიქრიშვილი.

სტახანოველი ზეინკალი პავლე ბედენაშვილი ყოველდღიურ დავალებას 250-300 პროცენტით ასრულებს. ასევე მაღალნაყოფიერი შრომით იხდიან თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე ნოვატორი ხარატი ვახტანგ ბაისონაშვილი, მბურღავი ესტატე ბერიშვილი, ზეინკალი შოთა თათარიშვილი და სხვები.

საღამო ხანს, როცა ეს მოწინავე ადამიანები თავს იყრიან პლეხანოვის სახელობის კლუბში მოთავსებულ აგიტპუნქტში, ისინი საუბრობენ თბილისის საოლქო და საქალაქო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატზე დიდ სტალინზე.

— დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ მოვიპოვეთ ყველა ადამიანური უფლება: შრომის, სწავლის, დასვენების უფლება, —შეგვექმნა ბედნიერი ცხოვრება.

— ვოლგაზე, დნეპრზე, ყარა-ყუმში, ყირიმში იგება გრანდიოზული ჰიდროელექტროსადგურები და სარწყავი არხები. ტრამალები და ნახევრადუდაბნოები ნაყოფიერ და უმდიდრეს ველებად გადაიქცევა. კოლმეურნეობათა მინდვრებსა და საძოვრებზე მუშაობას დაიწყებენ ელექტროტრაქტორები და მანქანები.

— ვამაყობ სტახანოველის სახელწოდებით, — ამბობს ესტატე ბერიშვილი. — მახსოვს სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე ამხანაგმა სტალინმა, შეაფასა რა სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობა, თქვა, სტახანოველები ახალი, განსაკუთრებული ადამიანები არიანო. და მან, ამხანაგმა სტალინმა, მთავრობის სახელით მოგვმართა ჩვენ, უბრალო ადამიანებს, — „მაშ ასე, ამხანაგებო, მადლობა თქვენ სწავლებისათვის, დიდი მადლობა!“. ამ სიტყვებში ცხადად მოჩანს მჭიდრო, სისხლხორცეული კავშირი ბელადისა მუშათა კლასთან, მთელ საბჭოთა ხალხთან.

დიდი ბელადისა და მასწავლებლისაკენ არის მიმართული უბრალო ადამიანების ფიქრები და აზრები.

მეცნიერებისა და გამოგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის პლენუმი

16 თებერვალს აკადემიკოს ა. ნ. ნესმეიანოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა დაიწყო იმ მეცნიერულ ნაშრომთა განხილვა, რომლებიც წარმოდგენილია 1952 წლის სტალინური პრემიების მისაღებად.

გუშინ მოისმინეს ფიზიკის, მათემატიკისა და მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის, მშენებლობისა და ტრანსპორტის, მედიცინის, გეოლოგიისა და გეოგრაფიის, ქიმიისა და ბიოლოგიის მეცნიერებათა სექციების თავმჯდომარეების მოხსენებანი. მოხსენებებში გაშუქებული იყო სექციებში იმ მონოგრაფიებისა და გამოკვლევების წინასწარი შესწავლის შედეგები, რომლებიც სამეცნიერო დაწესებულებებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა და სხვა ორგანიზაციებმა წარმოადგინეს სტალინური პრემიების მისაღებად.

განხილვამ ცხადყო, რომ გასულ წელს მეცნიერებმა შექმნეს მნიშვნელოვანი ნაშრომები, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა მოწინავე მეცნიერების ახალ წარმატებებს, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მისი კავშირის განმტკიცებას, მიღწევებს ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ბიოლოგიისა და ცოდნის სხვა დარგების დიდი თეორიული პრობლემების დამუშავებაში.

წარმოდგენილ ნაშრომთა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა ა. ი. აბრიკოსოვმა, ნ. ნ. ანიჩკოვმა, კ. მ. ბიკოვმა, ბ. ა. ვვედენსკიმ, ე. ს. ვარგამ, მ. მ. დუბინინმა, მ. ვ. კირპიჩევმა, ნ. ი. მუსხელიშვილმა, დ. ვ. სკობელცინმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტებმა ვ. ა. ამბარცუმიანმა, ა. პ. ვინოგრადოვმა, პროფესორმა ა. გ. ივანოვ-სმოლენსკიმ და სხვებმა.

დღეს კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

პარტიულ თემაზე

გავამახვილოთ პოლიტიკური სიფხიზლე, აღმოვფხვრათ უდარდელობა და დოყლაპიობა

საბჭოთა ხალხი ლენინ — სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდის წინ, კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ. წინსვლისა და გამარჯვებათა ეს დიადი გზა გაშუქებულია პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით, ამხანაგ სტალინის ახალი გენიალური ნაშრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. დიდი სტალინის ბრძნული მითითებანი სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის განხორციელების პირობებისა და გზების შესახებ პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მიიღეს როგორც კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის პროგრამა.

ლენინ — სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით უმაგალითო წარმატებებია მოპოვებული. ჩვენმა ქვეყანამ მოკლე ხნის განმავლობაში მოიშუშა ომისაგან მოყენებული ჭრილობები და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა ომისშემდგომი მეოთხე ხუთწლიანი გეგმა. წარმატებით ხორციელდება მეხუთე ხუთწლედი. კომუნისტური მშენებლობის ეს უდიდესი მიღწევები იმ ადამიანებში, რომლებიც ნაკლებად ნაცადნი არიან პოლიტიკაში და ჩამორჩებიან თეორიაში, იწვევს პარადული კეთილდღეობისა და თვითკმაყოფილების განწყობილებებს, უზრუნველობასა და დოყლაპიობას, უდარდელობასა და თავგასულობას, იწვევს რევოლუციური სიფხიზლის მოდუნებას, პოლიტიკურ სიბეცეს.

ასეთ ადამიანებს ჰგონიათ, რომ რაც უფრო მეტია მიღწევები კომუნისტურ მშენებლობაში, მით უფრო სუსტი ხდება ჩვენი მტრების წინააღმდეგობა. მათ არ ესმით, რომ დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების ზრდის შედეგად კი არ სუსტდება, არამედ კიდევ უფრო მწვავე და გააფთრებული ხდება ანტიდემოკრატიული და იმპერიალისტური ძალების ბრძოლა.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის: „აუცილებელია დავამსხვრიოთ და უკუვაგდოთ დამპალი თეორია იმის შესახებ, რომ ყოველ ჩვენს წინწაწევასთან ერთად კლასობრივი ბრძოლა ჩვენში თითქოს უფროდაუფრო უნდა ქრებოდეს, რომ ჩვენს წარმატებებთან ერთად კლასობრივი მტერი თითქოს უფროდაუფრო მოთვინიერებული ხდებოდეს.

ეს არა მარტო დამპალი თეორიაა, არამედ საშიში თეორიაც არის, ვინაიდან იგი აძინებს ჩვენს ადამიანებს, ხაფანგში აბამს მათ, კლასობრივ მტერს კი შესაძლებლობას აძლევს წელში გაიმართოს საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად“.

საბჭოთა ქვეყნის მიღწევები კი არ ასუსტებენ, არამედ კიდევ უფრო მწვავე, გააფთრებულ ფორმას აძლევენ მტრის წინააღმდეგობას. ჩვენში დიდი ხანია მოსპობილი არიან ექსპლოატატორული კლასები, მაგრამ ჯერ კიდევ დარჩენილია ბურჟუაზიული იდეოლოგიის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის ნაშთები, დარჩენილი არიან ბურჟუაზიულ შეხედულებათა და ბურჟუაზიული მორალის მატარებლები — ცოცხალი ადამიანები, საბჭოთა ხალხის ფარული მტრები. ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები, რომლებიც გამალებით ამზადებენ ომს სსრ კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ, მხარს უჭერენ საბჭოთა ხალხის ამ ფარულ მტრებს და განუწყვეტლივ გზავნიან ჩვენს ქვეყანაში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ჯაშუშებს, დივერსანტებს და ტერორისტებს.

პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კიდევ უფრო გაამახვილონ და გააძლიერონ საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური სიფხიზლე, რომელიც მძლავრ იარაღს წარმოადგენს მტრის ჯაშუშების წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთი წუთითაც არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ პარტიის წევრი მოვალეა „იცავდეს პარტიულ და სახელმწიფო საიდუმლოებას, იჩენდეს პოლიტიკურ სიფხიზლეს, ახსოვდეს, რომ კომუნისტების სიფხიზლე აუცილებელია ყოველ უბანზე და ყოველ ვითარებაში“.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯერ კიდევ ვერ იჩენს პოლიტიკურ გამჭრიახობას, ყველა საჭირო ზომას ვერ იღებს იმისათვის, რომ აამაღლოს კომუნისტების, საბჭოთა ადამიანების რევოლუციური სიფხიზლე, აღმოფხვრას უდარდელობა და დოყლაპიობა. მხოლოდ უდარდელობითა და სიფხიზლის მოდუნებით შეიძლება ავხსნათ ის, რომ თბილისის მტკვრის მარცხენა სანაპიროს კვებვაჭრობის მე-12 მაღაზიაში სექციონერად მუშაობდა გადაგვარებული და უღირსი ადამიანი ვინმე ვ. ბარამია. პირველადი პარტიული ორგანიზაციისათვის (მდივანი ამხ. რობაქიძე) შეუმჩნეველი დარჩა, რომ ვ. ბარამია უფაქტურო საქონლით ვაჭრობას ეწეოდა, რომ იგი უხეშად არღვევდა საბჭოთა ვაჭრობის წესებს. ბორტმოქმედმა ისარგებლა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის და სამმართველოს ხელმძღვანელების უდარდელობით, 35.000 მანეთი მიითვისა და მიიმალა. ასე ძვირად უჯდება საბჭოთა სახელმწიფოს ზოგიერთი მუშაკის მხრივ პოლიტიკური სიფხიზლის ყოველი ოდნავი შესუსტება, კადრების შერჩევის ლენინურ-სტალინური პრინციპის ოდნავი დარღვევის თვითეული შემთხვევაც კი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მეაბრეშუმეობის საკითხებზე შემდგარ თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ აღნიშნა, რომ „მტრული ელემენტები ახლა ცდილობენ იმოქმედონ ფარულად, შეპარვით. სარგებლობენ რა ზოგიერთი ჩვენი ადამიანის უზრუნველობითა და უდარდელობით, ისინი ეძებენ ყოველ ოდნავ საძრომს, იყენებენ ყოველ გაუფრთხილებლობას, რათა ხელი შეუშალონ კომუნისტური მშენებლობის დიდ საქმეს. შენიღბული მტრები ცდილობენ ზიანი მოგვაყენონ ჩვენი მუშაობის ყველა უბანზე“.

ამას ნათელყოფს შემდეგი ფაქტი. 1952 წლის იანვრიდან საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მეხუთე საფირმო მაღაზიაში გამყიდველად მუშაობდა ა. ტრეტიაკოვა, რომელიც სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების მფარველობით სარგებლობდა. იგი მოხერხებულად იყენებდა ხელმძღვანელთა უზრუნველობასა და უდარდელობას და სისტემატურად არღვევდა საბჭოთა ვაჭრობის წესებს, უხეშად ეპყრობოდა მომხმარებლებს. ამ დარღვევებისათვის მაღაზიის დირექტორმა ა. ტრეტიაკოვა ორჯერ მოხსნა სამუშაოდან, მაგრამ ორივეჯერ საქმეში ჩაერია სამინისტრო და ისევ აღადგინეს. საკითხავია, რით „გამოიჩინა“ თავი ა. ტრეტიაკოვამ? ჯერ ერთი იმით, რომ 1952 წლის მარტიდან თბილისში ცხოვრობდა ისე, რომ არსად არ იყო ჩაწერილი. მეორეც იმით, რომ იგი დასტობით გზავნიდა ხელმოუწერელ ცილისმწამებლურ წერილებს ზემდგომ ორგანოებში.

ცილისმწამებლური წერილების შედგენაში ა. ტრეტიაკოვას დახმარებას უწევდა თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საგეგმო განყოფილების უფროსი ზახაროვი. მან იმდენი უდარდელობა და დოყლაპიობა გამოიჩინა, რომ ა. ტრეტიაკოვას შესაძლებლობა მისცა ესარგებლა ინსტიტუტის საიდუმლო მასალებით, ამასთან ცილისმწამებელს დაეხმარა თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა ამავე ინსტიტუტის საბეჭდი მანქანა.

როგორ მოხდა, რომ ასეთი უმსგავსება დიდი ხნის განმავლობაში შეუმჩნეველი რჩებოდა ინსტიტუტის დირექტორის ამხ. ჯიმშელეიშვილის და პირველადი პარტიული ორგანიზაციისათვის? აქ ხშირად და ბევრს ლაპარაკობენ სიფხიზლის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყოველივე მხოლოდ ლაპარაკად რჩება. ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციას სერიოზული მუშაობის გაწევა მოუხდება კომუნისტთა აღზრდისათვის პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით, თავის რიგებში უდარდელობისა და დოყლაპიობის აღმოფხვრისათვის.

პარტია საბჭოთა ადამიანებს ასწავლის, რომ იმისათვის, რათა ბოლო მოვუღოთ მავნებლობას, საჭიროა გადაჭრით და ბოლომდე აღმოვფხვრათ დოყლაპიობა, შევქმნათ მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის ვითარება. მხოლოდ ასეთ ვითარებაში და ასეთი მუშაობის პირობებში შეძლებენ პარტიული ორგანიზაციები ბოლო მოუღონ ლაყბობას, უზრუნველობას და არაგულმართლობას პარტიის წინაშე, დაუდევრობას საიდუმლო დოკუმენტების შენახვაში, პოლიტიკური სიფხიზლის უქონლობას იდეოლოგიის საკითხებში და კადრების შერჩევისას, მორალური გახრწნის ფაქტების შემწყნარებლობას. პარტია საბჭოთა ადამიანებს ასწავლის, რომ მხოლოდ დოყლაპიები, უზრუნველი, პოლიტიკურად ბეცი და თეორიულად ჩამორჩენილი ადამიანები ვერ ხედავენ ამა თუ იმ დავალების ჩაშლაში საქმის პოლიტიკურ მხარეს, მხოლოდ ცუდი მუშაობის შედეგად თვლიან ჩვენი მეურნეობის ამა თუ იმ უბნის, ამა თუ იმ საწარმოს ჩამორჩენას. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან უფრო ღრმად ჩასწვდნენ საქმის მდგომარეობას, მის პოლიტიკურ მხარეს, განცხრომის, უდარდელობისა და დოყლაპიობის წინააღმდეგ გააჩაღონ პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა.

პარტიული ხელმძღვანელის ეს უპირველესი მოვალეობა დაივიწყა თბილისის კაფელისა და ფილების ქარხნის პირველადი პარტორგანიზაციის ყოფილმა მდივანმა ამხ. იოსებ ნატროშვილმა. ქარხნის ყოფილი დირექტორი ლ. ეზეკელი მიმართავდა სახელმწიფოსათვის თვალისახვევის ცდებს, ზემდგომ ორგანოებს გეგმების შესრულების გადიდებულ მაჩვენებლებს აძლევდა. საწარმოს ხელმძღვანელის ეს მავნე, ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა მხილებულ იქნა და პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონულმა კომიტეტმა ლ. ეზეკელი მკაცრად დასაჯა. ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ყოველივე ეს მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა საკითხი რაიონული კომიტეტის ბიუროს სხდომაზე იხილებოდა.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმ ურყევი ლენინურ-სტალინური დებულების დავიწყება, რომ ჩვენში ჯერ კიდევ დარჩა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთები, რომ ჯერ კიდევ არიან მორალურად მერყევი და გახრწნილი, კაპიტალიზმის გადმონაშთებით დაავადებული ადამიანები, რომლებიც განძს წარმოადგენენ იმპერიალისტური დაზვერვებისათვის. ამოცანა ის არის, რომ ულმობლად ვამხილოთ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული ჯგუფების ნაშთები, სხვადასხვა მტრული ელემენტები, რომლებიც ზოგჯერ ჩვენი ადამიანების უდარდელობის და დოყლაპიობის შედეგად ხელმძღვანელ სამუშაოზე გაძრომასაც კი ახერხებენ. ამ დღეებში პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომმა ამხილა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან გარიცხა გადაგვარებული ა. ჯანიაშვილი. 1951 წლამდე იგი ამერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილებაში მუშაობდა ინსტრუქტორად, შემდეგ კი მესამე სატვირთო-სავაგონო დეპოს პარტბიუროს მდივნად იქნა არჩეული. ჯანიაშვილმა ერთ წელზე ნაკლები იმუშავა და ამ ხნის განმავლობაში 3.000 მანეთამდე პარტიული საწევრო შენატანების გაფლანგვა მოასწრო. იგი მფარველობას უწევდა უღირსებსა და დამნაშავეებს. როცა სატვირთო-სავაგონო დეპოს მაღაზიის გამგეს სახელმწიფო თანხების დანაკლისი აღმოაჩინდა, ჯანიაშვილი მას დაეხმარა და შეეცადა დაეფარა დანაშაულის კვალი.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში პარტიის თბილისის ლენინის, მოლოტოვის, ორჯონიკიძისა და სხვა რაიონულმა კომიტეტებმა გააძლიერეს მუშაობა მშრომელთა მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით აღზრდისათვის, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ ყოველი ღონისძიებით გაამახვილონ და გააძლიერონ პოლიტიკური სიფხიზლე მასებში, შექმნან შეურიგებლობის ვითარება უდარდელობისა და დოყლაპიობის წინააღმდეგ. პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა კადრების, ყველა კომუნისტის შეიარაღება მარქსიზმ-ლენინიზმით, მშრომელთა აღზრდა ლენინ — სტალინის იდეებით.

პოლიტიკური სიფხიზლე კომუნიზმის გამარჯვებათა მძლავრი იარაღია. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი საბრძოლო ამოცანაა იყონ ფხიზელნი ყოველ უბანზე და ყოველ ვითარებაში.

ვ. შავგულიძე,
მ. ვარდოსანიძე.



მოსკოვის ჩარხმშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ კოლექტივმა 1952 წელს წლიური გეგმის გადამეტებით ბევრი ჩარხი გამოუშვა. მეხუთე ხუთწლედში ამ საწარმოში ჩარხების გამოშვება 60 და მეტი პროცენტით გადიდდება. სურათზე: ჩარხების აწყობა საამწყობო საამქროში. წინა პლანზე — ერთ-ერთი საუკეთესო ამწყობი ვ. ა. ბოჟანოვი, რომელიც ცვლაში ორნახევარ ნორმას ასრულებს.

ფოტო კ. ივანოვისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

ავზომაჯი საკისართა მრეწველობისათვის

მოსკოვის ქარხანა „კალიბრის“ მუშაკებმა დაამთავრეს დიდი საკონტროლო-საზომი ავტომატის დამზადება საკისართა მრეწველობისათვის. ავტომატი შექმნა ჩარხმშენებლობის სამინისტროს დეტალების ურთიერთშეცვლის ბიურომ. იგი განკუთვნილია 0,001-0,002 მილიმეტრი სიზუსტის გორგოლაჭიან საკისართა გარეთა რგოლების საკონტროლოდ. ახალი ავტომატი ყოველ 20 წამში იძლევა 21 საზომით შეფასებულ თითო რგოლს. ამავე დროს იგი ახარისხებს რგოლებს. ავტომატური მრიცხველები ეწევიან ვარგისი და წუნდებული ნაკეთობის აღრიცხვას.

ავტომატში ფართოდ იყენებენ პნევმატიკას, ელექტროტექნიკას.

ავტომატი შეცვლის 15-20 მაღალკვალიფიციურ კონტროლიორს, უზრუნველყოფს ნაკეთობათა ხარისხის ზუსტ და შეუფერხებელ შემოწმებას.

(საკდესი).

ახალი ბოსტნეული სოჭის ჯანმრთელობის კერებს

სოჭი, 17 თებერვალი. (საკდესი). ადლერისა და ბელორეჩენსკაიას საბჭოთა მეურნეობებისა და სოჭის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხოსტის სათბურების მეურნეობის სათბურებში დაიწყო ბოსტნეულის ახალი მოსავლის აღება. სანატორიუმები იღებენ ახალ კიტრს, კალნაბს, ხახვს, ბოლოჭს, სალათას.

ადლერის ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობამ აიღო სათბურებში მოყვანილი ყურძნის პირველი მოსავალი. აქ შეუდგნენ აგრეთვე გრუნტში დათესილი კომბოსტოსა და სტაფილოს მოსავლის აღებას.

კომუნიზმის გამარჯვებისა და მზეკიცა მებრძოლი

თექვსმეტი წელი გავიდა რაც გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, კომუნიზმის გამარჯვებისათვის თავდადებული ადამიანი გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე.

გ. კ. ორჯონიკიძე ჭაბუკობიდანვე ჩაება რევოლუციურ მუშაობაში და მტკიცედ დაადგა ლენინისა და სტალინის მიერ ნაჩვენებ გზას. მისი სახელი განუყოფელად არის დაკავშირებული კომუნისტური პარტიის გმირულ ისტორიასთან, საბჭოთა სახელმწიფოს გამარჯვებებთან. რევოლუციური მუშაობის პირველი წრთობა ს. ორჯონიკიძემ მიიღო თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში, რომელიც შეიქმნა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

გ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ს. ორჯონიკიძე აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა საქართველოს, ამერბაიჯანის, რუსეთის მუშებსა და გლეხებს შორის, რაზმავდა მათ ცარიზმის იმპერიალისტური რეჟიმის წინააღმდეგ, მემამულეებისა და კაპიტალისტების ძალაუფლების დასამხობად. თბილისის საფერმერო სკოლაში, გუდაუთში, სუხუმში, ბათუმში, თბილისის მუშებსა და ბაქოს ნავთობის მრეწველობის მუშათა შორის ს. ორჯონიკიძე აქტიურად მუშაობდა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. იგი ვერ გატეხა რეაქციის შაბნელი ძალების მიერ დევნამ, ციხემ და გადასახლებამ. ყველგან თავისი ჩვეული ენერგიით განაგრძობდა ექსპლოატატორების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას.

რეაქციის წლებში ს. ორჯონიკიძე მტკიცედ იცავდა ლენინ — სტალინის ხაზს და ილაშქრებდა მენშევიკ-ლიკვიდატორების, ტროცკისტების, ესერების, ანარქისტებისა და ყველა ჯურის გამაცმთა წინააღმდეგ, მტრული პოლიტიკური მიმდინარეობებისა და ჯგუფების წინააღმდეგ.

1912 წელს ს. ორჯონიკიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო სრულიად რუსეთის VI პარტიული (პრაღის) კონფერენციის მომზადებაში. ცარიზმის მიერ დევნის მკაცრ პირობებში იგი მტკიცედ და უშიშრად ასრულებდა ვ. ი. ლენინის მიერ მიცემულ უაღრესად პასუხსაგებ დავალებებს. პრაღის კონფერენციაზე, რომელმაც გააფორმა ლენინ — სტალინის პარტიის დამოუკიდებელი არსებობა, ს. ორჯონიკიძე არჩეულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. ლენინის დავალებით ს. ორჯონიკიძემ კავშირი დაამყარა გადასახლებაში მყოფ ი. ბ. სტალინთან, ენერგიულად მუშაობდა ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროში.

თვალსაჩინოა ს. ორჯონიკიძის წვლილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვების საქმეში. 1917 წელს იგი აქტიურად მონაწილეობდა VI ყრილობის მუშაობაში. ცნობილია, რომ ამ ყრილობამ გეზი აიღო შეიარაღებული აჯანყებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ. დიდია ს. ორჯონიკიძის როლი რევოლუციის მონაპოვართა დაცვისა და განმტკიცების საქმეშიც. ს. ორჯონიკიძე სამოქალაქო ომში ჩვენი გამარჯვების, უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და თეთრგვარდიელთა განადგურების ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი და საბჭოთა არმიის პოლიტიკური აღმზრდელი იყო. მის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების განადგურება ამიერკავკასიაში და აქ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. ს. ორჯონიკიძე 1926 წლამდე ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო-კულტურული აღმავლობისა და ხალხთა შორის მეგობრობის, ძმური თანამშრომლობის ტრადიციის დანერგვაში, ამიერკავკასიის ხალხთა ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, კომუნიზმის ერთგულების სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

1926-1930 წლებში ს. ორჯონიკიძე მუშაობდა ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხნის თავმჯდომარედ. აქ მან თავი გამოიჩინა, როგორც მტკიცე ლენინელმა, დიდი მუშაობა გასწია ტროცკისტ-ბუხარინელი მახინჯების, კაპიტალიზმის რესტავრატორების განადგურებისათვის. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ განხორციელებისათვის ბრძოლის, სახელმწიფო აპარატიდან ბიუროკრატების განდევნის საქმეში.

1930 წლიდან ს. ორჯონიკიძე დაინიშნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, მუშაობდა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრად. ს. ორჯონიკიძის უშუალო მონაწილეობით პარტიამ ბრწყინვალედ გადაჭრა დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანა — ჩვენს ქვეყანაში მძიმე ინდუსტრიის შექმნისა და განვითარების, მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ტექნიკით შეიარაღების ამოცანა.

სერგო გულმოდგინედ, სტალინური მზრუნველობით ზრდიდა მრავალრიცხოვან კომუნისტურ კადრებს, პარტიულ და უპარტიო ადამიანებს ლენინ — სტალინის საქმის ერთგულების, კომუნიზმის გამარჯვების სულისკვეთებით. იგი გადაჭრით ებრძოდა ყოველივე ძველს, ჩამორჩენილს, ფართო გასაქანს აძლევდა ახალს, მოწინავეს. ს. ორჯონიკიძე განსაკუთრებით აფასებდა სტახანოვურ მოძრაობას. მხარს უჭერდა და ხელს უწყობდა მის განვითარებას.

ლენინურ-სტალინური ტიპის სახელმწიფო მოღვაწის, კომუნიზმის საქმისათვის უსაზღვროდ ერთგული მოღვაწის ს. ორჯონიკიძის კეთილშობილური სახე მუდამ აღმაფრთოვანებელი მაგალითი იქნება ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიანი მშრომელების, კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა ხსოვნაში.

ონის რაიონი არჩევნების წინ

საარჩევნო კამპანია ონის რაიონში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, მშრომელთა გაზრდილი პოლიტიკური აქტივობისა და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. ხალხმრავალ წინასაარჩევნო კრებებზე რაიონის მშრომელებმა ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობაში დეპუტატობის თავიანთ კანდიდატებად დაასახელეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები, კომუნისტები და უპარტიოები, რომლებსაც უნარი შესწევთ სწორად განახორციელონ პარტიის, საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა.

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად მშრომელებმა ერთსულოვნად დაასახელეს დიდი ბელადი და მასწავლებელი, საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად არიან დასახელებული დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლები, პარტიისა და მთავრობის გამოჩენილი მოღვაწეები, რაიონის მოწინავე ადამიანები.

სოფელ ჩორდის კოლმეურნეობის წევრებმა სასოფლო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს სტახანოველი, კომკავშირელი ნ. მაისურაძე, რომელიც ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 125 პროცენტით ასრულებს. დეპუტატობის კანდიდატთა შორის არიან ჩვენი რაიონის ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები — პედაგოგი ნ. ბედიანიშვილი, დამსახურებული ექიმი, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ა. ბაქრაძე და სხვა მოწინავე ადამიანები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ენერგიული და თავდადებული შრომით.

არჩევნების წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად რაიონში გაშლილია საagიტაციო-მასობრივი მუშაობა. 25 აგიტპუნქტში აგიტაციას ეწევა 432 აგიტატორი. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა აგიტატორთა დასახმარებლად მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა. მოაწყო პარტიული ორგანიზაციებს მდივნების რაიონული თათბირები, აგიტატორთა ზონალური და რაიონული შეკრებები. მასწავლებლებმა — აგიტატორებმა — ე. მეტრეველმა, თ. ხიდეშელმა, კ. მაისურაძემ და სხვებმა კარგად დააყენეს აგიტაცია დასახლისთა შორის. ისინი აწყობენ ამომრჩეველთა კოლექტიურ დასწრებას კინოსურათებზე, გულმოდგინედ განუმარტავენ მშრომელებს არჩევნების დებულებას, სსრ კავშირის კონსტიტუციას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს და ბელადის ისტორიულ სიტყვას ამ ყრილობაზე. სისტემატურად იმართება მოსახლეობისათვის ლექციები და მოხსენებები.

ონის რაიონის მშრომელები მნიშვნელოვანი წარმატებებით ხვდებიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს. მათ ვადამდე შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები, 100 პროცენტით გაანაღდეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის განვითარების გეგმა. მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმების შესრულებაში დაწინაურდა სოფელ ხიდეშლების სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, სოფელ ღარის კოლმეურნეობა და სხვ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკანასკნელი წლების განმავლობაში რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები მარცვლეულის დაბალ მოსავალს იღებენ, ამასთან შესრულებული არ არის მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის საგეგმო დავალება. ცალკეულ კოლმეურნეობებში საჭირო ყურადღებას არ აქცევენ ვენახების მოვლა-პატრონობას.

გარკვეული წარმატებებია მოპოვებული რაიონის სოფლების კეთილმოწყობისა და მშრომელთა კულტურული ზრდის საქმეში. ამჟამად რაიონში 7 საშუალო, 18 რვაწლიანი და 21 დაწყებითი სკოლაა. მშრომელთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა 17 სასოფლო კლუბი, 10 საბჭითხველო, 6 ბიბლიოთეკა, კულტურის სარაიონო სახლი და რაჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება 31 სხვადასხვა სახის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება მრავალრიცხოვანი სამედიცინო პერსონალით. დღითიდღე კეთილმოწყობილი ხდება ქალაქი ონი. გაფართოვდა ქალაქის ცენტრალური ქუჩები, მოეწყო გაზონები, ქუჩებზე დაფენილია 14.000 კვადრატული მეტრი გუდრონი, აიგო რკინაბეტონის ახალი ხიდი და სხვა.

ყველა ამ სამუშაოს შესრულებაში აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები — ხალხის რჩეულნი. მაგრამ ამომრჩევლები არ კმაყოფილდებიან მიღწეულით და მოუთმენლად აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ ბევრია ჩვენს მუშაობაში. მთისკალთის, შქმერის და ქვედის სასოფლო საბჭოებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კეთილმოწყობის საკითხებს, საგზაო მშენებლობას, კულტურულ-მასობრივ მუშაობას. სოფლების — ღების, კვაშხეთის და წედისის სასოფლო კლუბები და სამკითხველოები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ აგროტექნიკურ პროპაგანდას.

ნაკლოვანებებია არჩევნებისათვის მზადების საქმეშიც. სუსტად მუშაობს ზოგიერთი აგიტპუნქტი. აგიტატორები — მ. ხაიანი, თ. ლობჯანიძე და სხვები იშვიათად ატარებენ მოსახლეობაში საუბრებს, დაუდევრად ასრულებენ აგიტატორის საპატიო მოვალეობას.

პარტიის რაიკომი თავის ყოველდღიურ მუშაობაში თვალისწინებს ამომრჩეველთა საქმიან შენიშვნებს და ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

ონის რაიონის მშრომელები, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, 22 თებერვალს ერთსულოვნად მივლენ საარჩევნო ყუთებთან და ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს. ამით ისინი ხმას მისცემენ ჩვენი ხალხის კეთილდღეობას, ხმას მისცემენ ლენინ — სტალინის სახელოვან პარტიას, ხალხთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს.

ს. როსნაძე,
საქართველოს კომპარტიის ონის რაიკომის მდივანი.

სამეცნიერო სესია

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა 18 თებერვალს აწყობს სამეცნიერო სესიას, მიძღვნილს ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, XIX პარტყრილობაზე ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებისადმი.

სესიაზე წაკითხულ იქნება მოხსენებები: „ი. ბ. სტალინის სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე ბრძოლისა და გამარჯვების დიადი პროგრამაა“ (მომხსენებელი დოცენტი შ. ადამია); „მეცნიერული კომუნიზმის თეორიის განვითარება ი. ბ. სტალინის შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. გაფრინდაშვილი); „ი. ბ. სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის კანონზომიერებათა შესახებ“ (უფროსი მასწავლებელი ი. ქობალია); „ი. ბ. სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ძირითადი წინაპირობების მომზადების შესახებ“ (დოცენტი გ. ზაქარიაძე); „ი. ბ. სტალინი ერთიანი მსოფლიო ბაზრის დაშლისა და მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის შემდგომი გაღრმავების შესახებ“ (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ესაკია); „ი. ბ. სტალინი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ომების გარდუვალობის შესახებ“ (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ო. ნიორაძე).

სესია გაიხსნება დღის 3 საათზე № 93 აუდიტორიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე

დიდი რეზერვები ჯერ კიდევ გამოუყენებელია

ბათუმის რაიონის სოფელ ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ყოველწლიურად ადიდებს მოსავალს, ამრავლებს საკოლმეურნეო დოვლათს. მოპოვებული წარმატებების შეჯამებას და მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა მხილებისა და მათი გამოსწორებისათვის ლონისძიებების დასახვას მიეძღვნა ამ დღეებში კოლმეურნეობაში მოწყობილი საანგარიშო-საარჩევნო კრება. კრებაზე 1952 წლის გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ს. ზოიძემ.

ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა რაიონში ერთ-ერთი დიდი კოლმეურნეობაა. წამყვან კულტურას კოლმეურნეობაში ჩაი წარმოადგენს, რომელიც 179 ჰექტარზეა გაშენებული. ჩაისუბნელმა კოლმეურნეებმა შარშან მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 473,5 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც დავალების 107,6 პროცენტს შეადგენს. დაწინაურდნენ ის ბრიგადები, რომლებსაც ჯ. ფალავა და თ. ბრუნჯაძე ხელმძღვანელობენ. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, არიან ჩამორჩენილებიც, რომლებმაც მთლიანად ვერ გამოიყენეს კოლმეურნეობაში არსებული შესაძლებლობა. მაგალითად, მესამე ბრიგადამ სახელმწიფოს 400 კილოგრამი ფოთოლი დააკლო. აღნიშნული ბრიგადის ხელმძღვანელი გასულ წელს 4-ჯერ შეიცვალა. საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს იმ რგოლებმა, რომლებსაც წარჩინებული მეჩაიეები — ხ. ცენტერაძე, ხ. ფალავა, ი. ბერიძე და დ. კონცელიძე ხელმძღვანელობენ. 28 რგოლიდან ჩაის გეგმის შესრულებაში 4 რგოლი ჩამორჩა.

კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა შარშან 4.800.000 მანეთს გადააჭარბა.

დიდი მუშაობაა გაწეული ციტრუსოვანი კულტურების დარგში. გასულ წელს გაშენდა 20 ჰექტარი ახალი პლანტაცია და ამით ვადაზე სამი წლით ადრე და გადაჭარბებით შესრულდა ციტრუსოვანი კულტურების აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა.

კრებაზე გამოირკვა, რომ ციტრუსოვანთა პლანტაციების მოვლა-პატრონობის საქმეში არის ნაკლოვანებებიც. პლანტაციებს სისტემატურად აზიანებს კოლმეურნეთა პირუტყვი, მაგრამ გამგეობა გადამჭრელ ზომებს არ იღებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. უყურადღებობას იჩენენ მარცვლეული კულტურის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს მხოლოდ 6 ცენტნერი სიმინდი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყველა კოლმეურნე არ მუშაობს სრული დატვირთვით. შარშან შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია 34 კოლმეურნეს.

მომხსენებელმა ილაპარაკა კოლმეურნეობის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, გააკრიტიკა ჩამორჩენილები და თვით გამგეობის მუშაობა, შეჩერდა ახალ ხუთწლედში კოლმეურნეობის შესანიშნავ პერსპექტივებზე.

შემდეგ მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ი. კონცელიძის მოხსენება.

კამათში გამოსულმა ბრიგადირმა გ. ტაქსიდიმ აღნიშნა, რომ შარშან ხშირად იოლვედოდა ჩაის ფოთლის კრეფის აგროწესები. კოლმეურნეობის აგროპერსონალი იშვიათად ამოწმებდა ჩაის კრეფის ხარისხს.

კოლმეურნე მ. მაჭუტაძემ აღნიშნა, რომ კოლმეურნეობაში სუსტად ხორციელდება კონტროლი შრომადღეების ხარჯვაზე. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ციტრუსები ირგვება, ამისათვის შრომადღეებიც იწერება, მაგრამ შემდეგ ნაკლებად ამოწმებენ, თუ რამდენმა გაიხარა. ნარგავებს ხშირად ანადგურებს პირუტყვი. საპლანტაციო გზების უქონლობის გამო ფერხდება ჩაის ფართობებში სასუქის შეტანა.

— არ უნდა დავკმაყოფილდეთ მოსალიანობის საშუალო ციფრებით, — თქვა კოლმეურნე ო. ბრუნჯაძემ, — დიდი დანაკარგებია დაშვებული ტუნგოს ნაყოფის დამზადებაში, უყურადღებოდ არის მიტოვებული ხეხილის ბაღები, ხეებს წლების განმავლობაში არ უვლიან, ზოგჯერ კიდევაც ჭრიან.

გამგეობის წევრმა მ. ბერიძემ ილაპარაკა სიფხიზლის გაძლიერების აუცილებლობაზე საკოლმეურნეო ქონების დაცვის საქმეში.

აგროტექნიკური პერსონალი, — გააცხადა მერგოლურმა ი. პოპანდოპულომ, — სუსტად ამოწმებს პლანტაციების მდგომარეობას და ვერ ითვალისწინებს ამას სასუქების განაწილებისას. არღვევენ ტუნგოს შემობარვის აგროწესებს. გამგეობა ყურადღებას არ აქცევს თუთის ხის გაშენების საქმეს.

კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვები ნათელყოფდნენ კოლმეურნეთა მზარდ აქტივობას, მათი პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებას, ზრუნვას საყვარელი სამშობლოს ეკონომიკური ძლიერების გადიდებისათვის, საკოლმეურნეო დოვლათის შემდგომ ზრდისათვის.

კოლმეურნეობის საერთო კრებამ გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და დასახა სათანადო ღონისძიებანი 1953 წელს უხვი მოსავლის მოყვანისათვის.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მექანიზაციორთა კადრების მომზადება

ბოლნისის მტს-თან მუშაობს ტრაქტორისტთა მოსამზადებელი სამთვიანი კურსები. კურსებზე 34 კოლმეურნე სწავლობს. კურსები უზრუნველყოფილია სათანადო ლიტერატურით. მასწავლებლად შერჩეული არიან კვალიფიციური სპეციალისტები.

ნოვატორი ი. ჭუმბურიძის ახალი წამოწყება

სახელმოხვეჭილმა ნოვატორმა ხარატმა ილია ჭუმბურიძემ — სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მექანიკური საამქროს მუშამ, რომელიც ამორჩევლებმა თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს, არჩევნებისათვის მზადების დღეები ლითონის ჭრის დარგში ახალი ნოვატორული ცდებით აღნიშნა.

ეს ნოვატორული ცდა შეეხება სერედნეკოლუსკის ჩარხმშენებელი ქარხნის ნოვატორის ვასილ კოლესოვის მიერ პირველად განხორციელებულ ლითონის ძალოსნური ჭრის მეთოდის გადმონერგვას საქართველოს ლითონდამამუშავებელ მრეწველობაში.

რას წარმოადგენს ეს მეთოდი და რატომ ეწოდება მას ძალოსნური?

ცნობილია, რომ ლითონის ჭრაში მთავარი მნიშვნელობა აქვს ორ ფაქტორს — სამანქანო და ეგრეთწოდებულ დამხმარე დროს. იმ დროს, რომელის განმავლობაშიც ჩარხი მუშაობს დამაგრებული დეტალის დასამუშავებლად, ეწოდება სამანქანო დრო, ხოლო ჩარხიდან დეტალის გადმოღება-გაზომვის, ხელახლა მორგების და დამაგრებისათვის საჭირო დროს, აგრეთვე საჭრისის შერჩევისათვის დახარჯულ წუთებს ეწოდება დამხმარე დრო. ლითონის ჩქაროსნულად დამუშავებისას მცირდება სამანქანო დრო, ე. ი. დროის გარკვეულ მონაკვეთში ჩარხი მეტი რაოდენობით ამუშავებს დეტალებს, ამასთან მცირდება დამხმარე დროც.

ლითონის ჩქაროსნული მეთოდებით დამუშავებისას დიდი მნიშვნელობა აქვს საჭრისს ქვეშ დეტალის მიწოდების სიდიდეს. ჩვეულებრივად 0,1 — 0,5-მილიმეტრიანი მიწოდება იმას ნიშნავს, რომ ჩარხის ერთი შემოტრიალებისას საჭრისი დეტალს დაამუშავებს 0,1 ან 0,5 მილიმეტრის სიგანის ზოლით. ვ. კოლესოვმა სცადა დეტალის მიწოდების გადიდება ერთისამად და უფრო მეტად. ამისათვის საჭირო გახდა საჭრისისათვის ისეთი გეომეტრიული ფორმის მიცემა, რომ დეტალი ზედაპირის დამუშავების შემდეგ სუფთა ყოფილიყო. კოლესოვმა გამონახა საჭრისის ასეთი ფორმა. იგი წარმოადგენს ორიგინალური გეომეტრიის საჭრისს. მთავარი პირი დასამუშავებელი დეტალის მიმართ დაქანებულ მდგომარეობაშია და დეტალზე ლითონის ზოლს უხეშად იღებს, იმავე საჭრისის მეორე პირი დეტალის ღერძის პარალელურია, ამ უხეშად აღებულ ზოლს ასწორებს, ასუფთავებს. არის მესამე, ამ ორ პირს შორის გარდამავალი პირი, რომელიც საჭრისს გამძლეობას მატებს და ლითონის ჭრას უადვილებს.

ცხადია, ამ შემთხვევაში ჩარხის მუშაობისას ამძრავი ძალა (ელექტროენერგია) მეტი რაოდენობით არის საჭირო, დანადგარი მთლიანად იტვირთება, საჭირო ხდება მეტი სიმძლავრის გამოყენება, რათა ჭრისას ლითონის წინააღმდეგობა დაძლეულ იქნას და საჭრისმა სათანადო მიწოდების ზოლი მსუბუქად გაიტანოს. ამიტომ ეწოდება ამ მეთოდით და ასეთი საჭრისით ლითონის ჭრას ძალოსნური.

ლითონის ძალოსნურმა ჭრამ დიდად აამაღლა შრომის ნაყოფიერება, გაადვილა დანადგარის სრული სიმძლავრის ათვისება, თითქმის ერთიოროად შეამცირა როგორც სამანქანო, ისე დამხმარე დრო და გამოიწვია ელექტროენერგიის ეკონომია.

ამჟამად ჭუმბურიძე ამუშავებს საორთქლმავლო დეტალებს. მან ერთი მესამედით გაადიდა ჩარხის ბრუნვა, გაორმაგა მიწოდება და ამით უზრუნველყო დანადგარის სიმძლავრის მთლიანად ათვისება.

ი. ჭუმბურიძის მაგალითისამებრ ლითონის ძალოსნური ჭრის მეთოდით მუშაობას შეუდგნენ ქარხნის მოწინავე ხარატები ა. მარგველაშვილი, ა. ერმოლენკო, ნ. გავრიკოვი, პ. გაიდაბურა და კ. ვასილიევი.

„ლიგერაგურული გაზეთი“

გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ყოველკვირეული ორგანო „ლიტერატურული გაზეთის“ პირველი ნომერი.

გაზეთის მოწინავე წერილში ლაპარაკია იმ უდიდეს ამოცანებზე, რაც მხატვრული ლიტერატურისა და პრესის წინაშე დაადგა დიდი სტალინის გენიალურმა ნაშრომმა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა. გაზეთი წერს: „მწერლობის მოვალეობაა მხატვრული და პუბლიცისტური სიტყვით განამტკიცებდეს საბჭოთა ადამიანების სიფხიზლეს, ზრდიდეს თავის მკითხველს საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ებრძოდეს დოყლაპიობისა და თვითდამშვიდების ოდნავ გამოვლინებასაც კი საბჭოთა ადამიანების მთელ საქმიანობაში“. კომუნისტური პარტია, დიდი სტალინი დაუცხრომლად ზრუნავენ კულტურის ყველა დარგის აყვავებისათვის. „ლიტერატურული პრესა, — ნათქვამია მოწინავე წერილში, — მოწოდებულია მთელი ენერგიის დაძაბვით იმუშაოს პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, მტკიცედ იდგეს კომუნისტური იდეურობის სადარაჯოზე“.

გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილია სარედაქციო სტატია „ისტორიული დადგენილების ხუთი წლისთავი“, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებისადმი ოპერა „დიადი მეგობრობის“ შესახებ.

გაზეთში დაბეჭდილი მასალებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა გ. მარგველაშვილის ვრცელი წერილი „სახელმძღვანელო სერიოზული ხარვეზებით და შეცდომებით“. წერილში განხილულია ა. ბარამიძის, შ. რადიანის და ბ. ჟღენტის წიგნი „ქართული ლიტერატურის ისტორია. მოკლე ნარკვევი“. წერილში, წიგნის დადებითი მხარეების აღნიშვნასთან ერთად მოცემულია მისი კრიტიკა. ავტორი წერს: „...მასალის შერჩევა, მწერალთა შემოქმედების ანალიზი და აგრეთვე „მოკლე ნარკვევის“ ავტორთა მეთოდოლოგია და ლიტერატურული სტილიც კი ხშირ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებენ იმ მაღალ მოთხოვნებს, რომლებიც წაყენებულია დღეს ლიტერატურათმცოდნეობის მიმართ“. წერილის ავტორი სამართლიანად აკრიტიკებს „მოკლე ნარკვევში“ დაშვებულ პრინციპული ხასიათის შეცდომებს და ნათელ წარმოდგენას აძლევს მკითხველს წიგნის დადებით და ჩრდილოვან მხარეებზე.

გაზეთში დაბეჭდილია გ. ტაბიძის და რ. მარგიანის ლექსები. მ. დუდუჩავას წერილი მიძღვნილი სსრ კავშირის სახალხო მხატვრის მ. თოიძის შემოქმედებისადმი და გ. ხუხაშვილის რეცენზია „ძველი და ახალი ლირიკული სახეები“.

„აი ისინი, ამერიკელი მკვლელები“ — ასეთი სათაურით გაზეთის მეოთხე გვერდზე გამოქვეყნებულია ამერიკელი ფოტოკორესპონდენტის დ. დუნკანის ფოტოსურათები წიგნიდან „ეს ომია“ და წერილი, რომელიც მოგვითხრობს ამერიკელი ჯარისკაცების მხეცობაზე კორეაში.

„ლიტერატურული გაზეთი“

საფინანსო ორგანოებისა და შემნახველი სალაროების დიდმნიშვნელოვანი ამოცანა

კ. სოხაძე,
საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.

სოციალისტური სახელმწიფო ქვეყნის ეკონომიკის მართვაში ხელმძღვანელობს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებით, რომლის არსებითი ნიშნებია, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით.

საბჭოთა სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების განხორციელების მნიშვნელოვანი ბერკეტია სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის საშუალებითაც ხდება უდიდესი ფინანსური რესურსების მობილიზაცია და მათი გამოყენება სოციალისტური სახალხო მეურნეობის განუწყვეტელი აღმავლობის, კომუნიზმის დიად მშენებლობათა განხორციელების, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების, ჩვენი სამშობლოს თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების მიზნით.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის უმთავრესი წყაროა სოციალისტურ საწარმოთა დაგროვება. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის მნიშვნელოვანი დამატებითი წყაროა მოსახლეობის სახსრები, რაც მოსახლეობისაგან შემოდის ნებაყოფლობითი წესით, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართო მასებში სახელმწიფო სესხების გავრცელების გზით.

ჩვენი სახელმწიფო სესხები განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების მთელ ისტორიასთან.

პირველი საბჭოთა სახელმწიფო სესხი გამოშვებულ იქნა 1922 წლის მაისში. ამ სესხმა საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა სახელმწიფო კრედიტის განვითარებას.

თავისი განვითარების პირველ ეტაპზე საბჭოთა სახელმწიფო სესხებმა დიდად შეუწყეს ხელი სამოქალაქო ომის დროს დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას, ფინანსების გაჯანსაღებას, მტკიცე საბჭოთა ვალუტის შექმნას.

შემდეგში ჩვენმა სახელმწიფო სესხებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელებაში, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნაში.

სახელმწიფო სესხებმა ასეთივე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებაში და მოწოდებული არიან შეასრულონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებაშიც.

საბჭოთა სახელმწიფო სესხები ძირეულად განსხვავდებიან კაპიტალისტური ქვეყნების სესხებისაგან.

კაპიტალისტურ ქვეყნებში სესხებს პარაზიტული, ანტიხალხური ხასიათი აქვთ. მათი დანიშნულებაა დაფარონ შეიარაღებისა და ახალი დამპყრობლური ომების მზადებისათვის საჭირო კოლოსალური ხარჯები, რომლებიც იწვევენ მშრომელთა შემდგომ გაღატაკებას.

ჩვენს ქვეყანაში, პირიქით, ხალხის ინტერესები განუყრელად დაკავშირებულია სახელმწიფოს ინტერესებთან. სახელმწიფო სესხებით მიღებული სახსრები ხმარდება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მიზნებს, ესე იგი ხალხის ინტერესებს.

ჩვენი სესხები, ხელს უწყობენ რა სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, ამავე დროს მნიშვნელოვან პირად შემოსავალს აძლევენ მშრომელებს მოგების სახით. საბჭოთა ადამიანები ყოველ წელიწადს უდიდესი პატრიოტული აღმავლობით ხვდებიან სახელმწიფო სესხების გამოშვებას, სესხზე ხელმოწერას აქციენენ თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი, ლენინ — სტალინის პარტიისადმი, თავისი საყვარელი ბელადის — დიდი სტალინისადმი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების საყოველთაო-სახალხო დემონსტრაციად.

უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში გავრცელდა საბჭოთა კავშირის მშრომელთა შორის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1952 წლის გამოშვება). ამ სესხზე ხელი მოაწერა საქართველოს 630 ათასზე მეტმა მუშამ და მოსამსახურემ და 590 ათასზე მეტმა გლეხმა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1952 წლის გამოშვება) გავრცელების პირობების შესაბამისად, სესხზე ხელმოწერის უკანასკნელი შესატანი მუშა-მოსამსახურეებს დაეკავებათ მიმდინარე წლის თებერვლის მეორე ნახევრის ხელფასიდან. ხელფასის მიცემასთან ერთად ყველა ხელისმომწერს უნდა ჩაბარდეს სესხის ობლიგაციები შეტანილი თანხის მიხედვით.

სესხზე ხელმოწერის ანგარიშსწორების დროზე და წარმატებით დამთავრება და ყველა ხელისმომწერისათვის სესხის ობლიგაციების სრულად ჩაბარება საფინანსო ორგანოებისა და შემნახველი სალაროების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საფინანსო ორგანოებმა და შემნახველმა სალაროებმა, სახელმწიფო ბანკის ფილიალებთან ერთად, გულმოდგინე კონტროლი უნდა დააწესონ იმაზე, რომ საწარმო-დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა სრულად დაუკავონ მუშა-მოსამსახურეებს სესხის უკანასკნელი შესატანი თებერვლის მეორე ნახევრის ხელფასიდან და დროზე გადარიცხონ დაკავებული თანხები სახელმწიფო ბიუჯეტში.

ამ ღონისძიების განსახორციელებლად შემნახველმა სალაროებმა გულდასმით უნდა შეამოწმონ სესხის ანგარიშსწორება თვითეულ საწარმო-დაწესებულებასთან და ორგანიზაციასთან და თვითეულ საგადასახადო აგენტთან, რათა იმ მომენტისათვის, როცა ობლიგაციები ხელისმომწერლებს დაურიგდება, არ დარჩეს არავითარი გაურკვეველი თანხა.

20-25 თებერვლიდან შემნახველი სალაროები შეუდგებიან სესხის ობლიგაციების მიცემას საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, რათა მათ ისინი ხელისმომწერლებს დაურიგონ.

ხელისმომწერლებისათვის ობლიგაციების ჩაბარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით პროფესიული კავშირების საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს და სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობ კომისიებს.

ხელშემწყობმა კომისიებმა ამ საქმეში ინიციატივა უნდა გამოიჩინონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ უკლებლივ ყველა ხელისმომწერლისათვის ობლიგაციების ჩაბარების საქმეში.

ხელშემწყობმა კომისიებმა უნდა უზრუნველყონ ობლიგაციების დროზე ჩაბარება არა მარტო მოცემულ კოლექტივში მომუშავე ყველა მუშა-მოსამსახურისათვის, არამედ ყველა იმათთვისაც, ვინც წინათ წავიდა საწარმო-დაწესებულებიდან და ანგარიშის გასწორების დროს რაიმე მიზეზით არ მიუღია ობლიგაციები მის მიერ შეტანილი თანხის ოდენობით. ხელშემწყობმა კომისიებმა საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ბუხჰალტერიასთან ერთად უნდა გამოარკვიონ ასეთ ხელისმომწერთა მისამართი და უზრუნველყონ მათთვის კუთვნილი ობლიგაციების გაგზავნა ფოსტით — ფასიანი პაკეტით.

სხვა ქალაქებსა და რაიონებში წასულმა ხელისმომწერლებმა თვითონაც უნდა იზრუნონ თავიანთი ობლიგაციების მისაღებად, რისთვისაც უნდა მიმართონ იმ საწარმოს თუ დაწესებულებას, სადაც მათ სესხზე შენატანები შეჰქონდათ, და დაწვრილებით აცნობონ თავიანთი მისამართი.

საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, საგადასახადო აგენტებს და სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობ კომისიებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ, რომ ხელისმომწერლებისათვის ჩაუბარებელი ობლიგაციები შემნახველ სალაროს შეიძლება გადაეცეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა შეუძლებელი ხდება წასულ ხელისმომწერთა მისამართის გამორკვევა მათთვის ობლიგაციების გასაგზავნად.

სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობი კომისიების მუშაობა განხილულ უნდა იქნას პროფკავშირების საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების სხდომებზე და მშრომელთა კრებებზე. ამ სხდომებსა და კრებებზე ხელშემწყობმა კომისიებმა უნდა ჩაბარონ ანგარიში, თუ როგორ იმუშავეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1952 წლის გამოშვება) გასავრცელებლად და ხელმოწერის შედეგების განსამტკიცებლად, ხელისმომწერლებისათვის ამ სესხის ობლიგაციების ჩასაბარებლად, მოგებათა და დაფარვის ტირაჟების ცხრილებში ობლიგაციების მასობრივი შემოწმების ჩასატარებლად და სხვ.

ამ მოხსენებათა მოსმენის შედეგების მიხედვით უნდა მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ გავაძლიეროთ სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობი კომისიების მუშაობა, ხოლო საჭირო შემთხვევებში განვამტკიცოთ მათი შემადგენლობა უფრო აქტიური და ავტორიტეტიანი მუშაკებით.

უნდა მოსმენილ იქნას აგრეთვე სესხის გავრცელების დარგში სასოფლო საბჭოების რწმუნებულთა საანგარიშო მოხსენებები მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომების სხდომებზე. ამ მოხსენებათა შედეგების მიხედვით საჭიროა შევინარჩუნოთ იმ რწმუნებულთა შემადგენლობა, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ ამოცანებს.

საფინანსო ორგანოებმა და შემნახველმა სალაროებმა ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის, პროფესიული კავშირების საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების და ხელშემწყობი კომისიების აქტიური დახმარებით უნდა მიაღწიონ იმას, რომ სესხზე ხელმოწერის ანგარიშსწორება სანიმუშოდ დამთავრდეს, რათა ყველა ხელისმომწერს ქალაქად და სოფლად დროზე ჩაბარდეს ობლიგაციები და ამით განმტკიცებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1952 წლის გამოშვება) წარმატებით გავრცელების შედეგები.

სესხის ანგარიშსწორების წარმატებით დამთავრების და მუშა-მოსამსახურეთა და გლეხთა ხელმოწერის თანხების ბიუჯეტში დროულად გადარიცხვის საფუძველზე საფინანსო ორგანოებმა და შემნახველმა სალაროებმა უნდა უზრუნველყონ სესხის ხაზით მიმდინარე წლის პირველი კვარტალისათვის დადგენილი გეგმის შესრულება.

საფინანსო ორგანოებმა და შემნახველმა სალაროებმა სისტემატურად უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ გააუმჯობესონ სესხის ობლიგაციების მფლობელთა მომსახურება, ფართო ინფორმაცია მიაწოდონ მათ ტირაჟების ჩატარების ვადების შესახებ, გაადიდონ ობლიგაციების შესამოწმებლად საცნობარო მაგიდების ქსელი საწარმოებთან, დაწესებულებებთან და კოლმეურნეობებთან. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება საფინანსო ორგანოებისა და შემნახველ სალაროთა მუშაკების ლირსების საქმეა.

გაზეთების ფურცლებზე

„ჯოინტი“ ამერიკის დაზვერვის ფილიალი

რამდენიმე ხნის წინათ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა აღმოაჩინეს ექიმთა ტერორისტული ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავდა მავნებლური მკურნალობის გზით სიცოცხლე შეემოკლებინა საბჭოთა კავშირის აქტიური მოღვაწეებისათვის. ამ ტერორისტული ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობა გადაბირა საერთაშორისო ებრაულმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა ორგანიზაციამ „ჯოინტმა“, რომელიც ამერიკის დაზვერვის ფილიალს წარმოადგენს.

იან მარეკის „პოლიტიკურ შენიშვნებში“, რომლებიც დაბეჭდილია გაზეთის „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!“ მე-6 ნომერში, მხილებულია ამ ჯაშუშური სიონისტური ორგანიზაციის ბინძური სახე.

ებრაული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაცია „ჯოინტი“, ანუ, როგორც მას ოფიციალურად ეწოდება — „დახმარების გამწევი გაერთიანებული კომიტეტი“, — წერს იან მარეკი, ეკუთვნის ეგრეთწოდებული „საქველმოქმედო“ ორგანიზაციების რიცხვს, რომელთა მეშვეობით ამერიკის სადაზვერვო ორგანოები ახორციელებენ თავიანთ ჯაშუშურ და დივერსიულ ოპერაციებს. „ჯოინტი“, რომელიც ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წლებში შექმნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მსხვილმა ბანკირებმა და კაპიტალისტებმა უარბერგებმა, მორგენტაუებმა, პუგენჰეიმებმა და მათმა მსგავსებმა ვითომდა იმ მიზნით, რომ სხვა ქვეყნებში თავიანთ თანამორწმუნეთათვის დახმარება გაეწიათ, მთლიანად და სავსებით, როგორც ამას წინათ გაზეთ „სე სუარში“ წერდა ცნობილი ფრანგი პუბლიცისტი ჟორჟ სორია, „დამოკიდებულია ამერიკის საიდუმლო სამსახურებზე“. „დილონ, რიდ ენდ კომპანის“ ბანკის მეშვეობით, რომლის მესვეურებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული „ჯოინტის“ ხელმძღვანელ ხროვასთან, კავშირი გაბმულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან და ომის ცნობილ გამჩაღებლებთან ჰარიმანსა და დრეიპერთან.

სხვადასხვა ქვეყნიდან მომდინარე უდავო საბუთებითა და დოკუმენტალური მონაცემებით დამტკიცებულია, რომ „ჯოინტი“ თავისი ულტრარეაქციული დირექტორების მეშვეობით ისეთ საქმეებს ხჩადის, რომლებიც ისევე შორსაა ქველმოქმედებისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. სინამდვილეში „ჯოინტი“ წარმოადგენს საერთაშორისო სიონისტურ ჯაშუშურ-დივერსიულ ორგანიზაციას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო ორგანოების სამსახურშია, მუშაობს მათი გეგმებით და მათი მითითებების სრული შესაბამისობით შორს, ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ. „ჯოინტის“ დანაშაულებრივ საქმიანობას, რაც მიმართულია სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ, ხელმძღვანელობს მისი „ევროპული განყოფილება“, რომელსაც სათავეში უდგას ნაცადი ამერიკელი მზვერავი ი. შვარცი.

„ჯოინტის“, როგორც ამერიკის დაზვერვის იარაღის, ჯაშუშური და ტერორისტული საქმიანობა მხილებულ იქნა ჯერ კიდევ 1949 წელს რაიკის პროცესზე უნგრეთში. იმავე წლის დეკემბერში გაასამართლეს და უნგრეთიდან გააძევეს „ჯოინტის“ იქ მოქმედი ორგანიზაციის მეთაური ამერიკელი იაკობსონი. ეს მხილებული ჯაშუში რამდენიმე თვის შემდეგ გამოვიდა მიტინგზე ტორონტოში (კანადა) და აშკარად იკვეხნიდა, რომ უნგრეთში ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა.

იმ მხილებას, რაც უნგრეთში რაიკის სასამართლო პროცესზე მოხდა, გასული წლის ნოემბერში დაემატა აღიარება სლანსკისა და მისი დამქაშებისა ჩეხოსლოვაკიაში შეთქმულთა ანტისახელმწიფოებრივი ცენტრიდან. ამ პროცესზე გამოირკვა, რომ ამერიკის დაზვერვის აგენტები, „ჯოინტის“ აბრას ამოფარებულნი, ჩეხოსლოვაკიაში ახორციელებდნენ დიდ ძირგამომთხრელ საქმიანობას, ეწეოდნენ, როგორც აღნიშნული იყო ხაბრალდებო აქტში, „ჯაშუშობას, ხაბოტაჟს, ბინძურ სავალუტო მაქინაციებს, სპეკულაციასა და კონტრაბანდას“.

ხაბჭოთა კავშირში, სადაც „ჯოინტის“ საქმიანობა აკრძალული იყო, ამ ორგანიზაციის გულმოდგინედ შენიღბული აგენტები ფარულად მოქმედებდნენ. ავაზაკურ სიონისტურ ორგანიზაციას ეკუთვნოდა უმრავლესობა ამას წინათ მხილებული და დაპატიმრებული ექიმ-მკვლელებისა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მავნებლური მკურნალობის გზით სიცოცხლე შეემოკლებინათ ხაბჭოთა კავშირის აქტიური მოღვაწეებისათვის. ერთ-ერთმა ამ მახინჯმა ექიმმა — ვოვსიმ აღიარა, რომ სწორედ „ჯოინტისაგან“ მიიღო პირდაპირი დირექტივა „სსრ კავშირის ხელმძღვანელი კადრების მოსპობის შესახებ“.

„ჯოინტის“ „ქველმოქმედთა“ ნამდვილ მიზნებს საკმაოდ მჭერმეტყველურად მოწმობს ის ფაქტიც, რომ 1950 წლის დამდეგს „ჯოინტის“ წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ „ამერიკის კონფერენციაში კომუნიზმის წინააღმდეგ ხაბრძოლველად“, რომლის მუშაობა ნიუიორკის სასტუმრო „ასტორში“ მიმდინარეობდა. ეს სწორედ ის კონფერენცია იყო, რომელზეც კერი, ამერიკელი რეაქციული პროფკავშირული ლიდერი, მილიარდერებმა ტაშით დააჯილდოვეს მისი განცხადებისათვის: „მომავალ ომში ჩვენ ფაშისტებთან გავერთიანდებით კომუნისტების წინააღმდეგ“.

**„ჯოინტის“, როგორც ამერიკის დაზვერვის მეურვეობაში მყოფი ორგანიზაციის, ხასიათს მოწმობს აგრეთვე ის, რომ „ქველმოქმედთა“ ეს ბანდა მეტად გულუხვია, როცა საქმე ეხება ტროცკისტებს, მენშევიკებს, ესერებს, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, კულაკური პარტიების წევრებს და სხვა ჯაშუშებსა და გამცემლებს, რომლებიც განდევნილი ან გაქცეული არიან სსრ კავშირიდან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან, როცა საქმე ეხება საზოგად

საერთაშორისო მიმოხილვა

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურღვევი მეგობრობა

18 თებერვალს ხუთი წელი სრულდება საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

განვლილმა ხუთწლედმა სავსებით დაადასტურა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ხელშეკრულების უდიდესი ეროვნული ღირებულება. მჭიდრო მეგობრობით დაკავშირებულ საბჭოთა და უნგრელ ხალხებს ძვირფასი წვლილი შეაქვთ მშვიდობის შენარჩუნების საქმეში და ურთიერთ პატივისცემისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე დაფუძნებული ნაყოფიერი თანამშრომლობის მაგალითს იძლევიან.

ეყრდნობა რა საბჭოთა კავშირის დახმარებას და მხარდაჭერას და იყენებს რა სოციალისტური მშენებლობის მის უმდიდრეს გამოცდილებას, განთავისუფლებულმა უნგრელმა ხალხმა, რომელსაც უნგრეთის მშრომელთა პარტია ხელმძღვანელობს, უდიდესი დემოკრატიული გარდაქმნები განახორციელა და ამჟამად წარმატებით ასრულებს ხუთწლიან გეგმას, რომელიც მტკიცე ეკონომიკურ საფუძველს ჩაუყრის სოციალისტურ საზოგადოებას.

„ჩვენი განთავისუფლებული მშრომელი ხალხის ძალები, — ამბობს მატიას რაკოში, — გამრავლდა იმ უანგარო მეგობრული დახმარების მეოხებით, რომელსაც საბჭოთა კავშირი და პირადად ამხანაგი სტალინი უწევენენ და უწევენენ უნგრეთის სახალხო დემოკრატიას ეკონომიკურ და პოლიტიკურ დარგში... ამ უანგარო დახმარებამ და მხარდაჭერამ საშუალება მოგვცა გადაგვალახა სიძნელეები და რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი საოფლო-სამეურნეო ქვეყნიდან გადაგვეყვანა სოციალიზმის მშენებელ ინდუსტრიულ ქვეყანად“.

ყოველ წელს ახალი გამარჯვებები მოაქვს უნგრელი ხალხისათვის. განსაკუთრებით დიდია წარმატებები რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციის დარგში. ამჟამად უნგრეთის სამრეწველო წარმოების მოცულობა ერთისამად და უფრო მეტად სჭარბობს ომამდელ დონეს. 1952 წელს — ხუთწლედის მესამე წელს — საფბრიკო-საქარხნო მრეწველობის პროდუქციის გამოშვება წინა წელთან შედარებით 23,7 პროცენტით გადიდდა, მძიმე მრეწველობისა — 33,3 პროცენტით და მსუბუქი მრეწველობისა — 10,5 პროცენტით. ეს შესანიშნავი მიღწევები, რომლებიც შესაძლო გახდა უდიდესი შრომითი აღმავლობის შედეგად, იმის გარანტიაა, რომ ხუთწლიანი გეგმა ვადამდე შესრულდება.

უნგრეთის საწარმოებში ათვისებულ იქნა ბევრი ახალი რთული მანქანის, მათ შორის კომბაინების, ექსკავატორების, სხვადასხვა ჩარხებისა და მოტორების გამოშვება. უნგრელი მუშები ფართოდ იყენებენ საბჭოთა სტახანოველების შრომის მოწინავე მეთოდებს. ყველგან გაჩაღდა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

უნგრეთის სხვადასხვა რაიონში შენდება ახალი სამრეწველო ობიექტები, მათ შორის ხუთწლედის გიგანტი — სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატი. ამ საწარმოს ამუშავების შემდეგ თუჯის წარმოება ომამდელ დონესთან შედარებით თითქმის ერთბიოთხად გადიდდება, ხოლო ფოლადისა — ერთბიორად. ხარტობადის ველზე გაჰყავთ 97 კილომეტრი სიგრძის მთავარი ამიერმისის არხი. დიდი მშენებლობა მიმდინარეობს დიენდეშში, კაპოშვარსა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებში.

განუწყვეტელ აღმავლობას განიცდის უნგრეთის სოფლის მეურნეობა, რომელსაც მტკიცე ტექნიკურ ბაზას უქმნიან. უნგრეთის ქარხნები სოფელს აწვდიან სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, იარაღებსა და ქიმიურ სასუქს. წლითიწლობით დიდდება ნათესი ფართობები, მიმდინარეობს დიდი სამელიორაციო სამუშაოები. ამჟამად უნგრეთში სარწყავი მიწების ფართობი ერთიექვსად მეტია, ვიდრე ჰორტის რეჟიმის დროს იყო. რესპუბლიკაში სულ უფრო ვრცელდება საწარმოო სამიწოთმოქმედო კოოპერატივები, რომლებიც ამჟამად უკვე 280 ათასზე მეტ გლეხურ მეურნეობას აერთიანებენ.

სახალხო ხელისუფლება გამუდმებით ზრუნავს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, სისტემატურად აუმჯობესებს მოსახლეობის მომარაგებას კვების პროდუქტებით და ფართო მოხმარების საქონლით. მშრომელთათვის აგებულია ასობით ახალი საავადმყოფო, ამბულატორია, დასასვენებელი სახლი და სანატორიუმი. ხორცელდება დიდი კულტურული მშენებლობა.

უნგრეთს არასოდეს არ უნახავს ასეთი პროგრესი, როგორც ამჟამად. როცა თვით ხალხია ქვეყნის ბატონ-პატრონი. სოციალიზმის, მშენებლობა ყველა უნგრელი პატრიოტის სასიცოცხლო საქმე გახდა. ისინი მჭიდროდ დაირაზმნენ მუშათა კლასის ავანგარდის — უნგრეთის მშრომელთა პარტიის გარშემო და მტკიცე რწმენით მიდიან ახალი გამარჯვებებისაკენ, ფხიზლად იცავენ თავიანთ მონაპოვარს მტრების ხრიკებისაგან. სსრ კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცება ახალი უნგრეთის მშენებლებს მიაჩნიათ თავიანთ შემდგომ წარმატებათა საამედო გარანტიად.

ფრანგი ხალხი «ევროპის არმიის» შექმნის წინააღმდეგია

ორი კვირის წინათ საფრანგეთის მთავრობამ ვაშინგტონს დაეინებათი მოთხოვნით ეროვნულ კრებაში შეტანა კანონპროექტი ევროპიდან „ევროპის არმიაზე“ ხელშეკრულებისა და მასთან დაკავშირებულ შეთანხმებათა რატიფიკაციის შესახებ. სოციალისტ ეიულ მოკს და დეგოლელ გენერალ კენიგს დაევალათ მოამზადონ მოხსენებანი ამ საკითხზე, რის შემდეგაც პარლამენტში უნდა დაიწყოს კამათი.

ცნობილია, რომ 1952 წლის 27 მაისს პარიზში ხელმოწერილი აღნიშნული ხელშეკრულება ითვალისწინებს „ევროპის არმიის“ შექმნას ექვსი ქვეყნის — საფრანგეთის, იტალიის, დასავლეთ გერმანიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის შეიარაღებული ძალების შემადგენლობით. მიუხედავად ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათ „მოკავშირეთა“ მეცადინეობისა შენიღბონ ამ არმიის არსი და მიზნები, პოლიტიკაში ნაკლებად გარკვეული ადამიანებისთვისაც კი ნათელია, რომ საქმე ეხება გერმანიის ვერმახტის აღორძინებას. ნავარაუდევი „ევროპის არმიის“ ხერხემალი იქნება დასავლეთ გერმანიის დივიზიები გერმანელი ოფიცრების სარდლობით.

თუ რას იწვევს ეს, ამას მოწმობს საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიის ისეთი ბეჭდვითი ორგანოს აღიარება, როგორიც არის გაზეთი „მონდი“, რომელიც წერს: ხელშეკრულების რატიფიკაციამ „შეაძლება პარლამენტი და მთელი საფრანგეთი მალე დააყენოს სუვერენიტეტის საკვებთან სერიოზული დაკარგვის წინაშე“. ეს შიში გასაგებია: ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ საფრანგეთი ფაქტიურად დაკარგავს თავისი არმიისადმი კონტროლს, რადგან არმია გადაცემულ იქნება „ევროპის კომისარიატს“ გამგებლობაში. საფრანგეთის პარლამენტი კი აღარ განსაზღვრავს საფრანგეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობას, სამსახურის ვადას, სამხედრო ასაგნობებსა და სხვას, არამედ სწორედ კომისარიატი.

ითვალისწინებენ რა ამას, რომ ფრანგი ხალხი უდიდეს წინააღმდეგობას უწევს ხელშეკრულების რატიფიკაციას, „ევროპის არმიის“ შექმნის სულისჩამდგმელები — ამერიკელი იმპერიალისტები აძლიერებენ ზეგავლენას საფრანგეთის მმართველი წრეებისაზმი და აიძულებენ მათ რაც შეიძლება მალე მიიღონ გადაწყვეტილება. როგორც გაზეთი „კომბა“ იუწყებოდა, ამერიკელი სენატორი უაილი იმუქრებოდა, თუ საფრანგეთი დაყოვნებს, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან კრედიტების მიღების შესაძლებლობას დაკარგავსო. ამერიკელი მებრძოლების გაზეთი „უოლსტრიტ ჯორნელი“ აშკარად აცხადებს: „ფრანგებს, რომლებიც ვერ ბედავენ დათანხმდნენ ევროპის არმიის შექმნაზე, შეიძლება მოვაგონოთ, რომ გერმანიის ეკონომიკა, რომელიც თავისუფალი იქნება თავდაცვისათვის ზურუნვისაგან, შეძლებს განდევნოს საფრანგეთი მსოფლიო ბაზრიდან“...

მაგრამ ფრანგ ხალხს ჩინებულად ესმის, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია. ამიტომ ხალხი დღითიდღე უფრო ძლიერ ეწინააღმდეგება დასავლეთ გერმანიის რევანშისტული არმიის აღორძინებას. შემთხვევითი არაა, რომ იგივე „მონდი“ აღნიშნავს, „ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის ვითარება არახელსაყრელია“, ხოლო გაზეთი „სე მატენ-ლე პეი“ წინასწარ ხედავს „პარლამენტის უმეტესობის მღელვარებას“.

„ევროპის არმიის“ შექმნისადმი ფრანგთა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აფიქრებს ბევრს მმართველი ზედაფენის შემადგენლობაში. მაგალითად, ცნობილია, რომ საფრანგეთის ისეთმა თვალსაჩინო მოღვაწეებმა, როგორიც არიან ვინსან ორიოლი და ედუარდ ერიო, არაორაზოზულად განაცხადეს, რომ ისინი მხარს არ უჭერენ ხელშეკრულების რატიფიკაციის იდეას.

ეროვნულ კრებაში ხელშეკრულების განხილვა, უეჭველია, მწვავე უთანხმოებას გამოიწვევს. საეჭვოა, რომ პრომერიკული პოლიტიკის მომხრეებმა ადვილად გაიყვანონ გადაწყვეტილება, რომელსაც ასე მოელიან ვაშინგტონში, მაგრამ რომელსაც ვერ ურიგდება ფრანგი ხალხი. გერმანელი და ფრანგი ხალხებისადმი გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ერთობლივ მიმართვაში გამოთქმულია რწმენა, რომ ამერიკელი აგრესორებისა და მათ თანამონაწილეთა დანაშაულებრივი გეგმები ჩაიფუშება. „ჩვენმა ხალხებმა, — ნათქვამია მიმართვაში, — უკვე მოიპოვეს დიდი გამარჯვება, რადგან მათ დღემდე არ დაუშვეს ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაცია. მათ შეუძლიათ საბოლოოდ ჩაშალონ ეს ხელშეკრულებანი თავიანთი ბრძოლის გაძლიერებით“.

შვეიცარიის «ნეიტრალიტეტის» შირმის უკან

ამ უკანასკნელ ხანს უცხოეთის პრესა სულ უფრო ხშირად აქცევს ყურადღებას იმას, რომ შვეიცარის მმართველი წრეების მიერ გამოცხადებული შვეიცარის ნეიტრალიტეტი მოჩვენებითია, და რომ ნამდვილად შვეიცარა სულ უფრო აქტიურად თანამშრომლობს აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკთან.

ამას წინათ ფინეთის პრესაში გამოქვეყნდა სტოკჰოლმიდან მიღებული ცნობა, რომ შვეიცარია და შეერთებულ შტატებს შორის დაიდო საიდუმლო სამხედრო შეთანხმება, რომლის მიზედვითაც ფორმალურად შვეიცარი ატლანტიკის ბლოკს გარეთ რჩება, მაგრამ ნამდვილად მონაწილეობას მიიღებს მის საომარ მზადებაში. შვეიცარის მთავრობას შეპირდნენ „დახმარებას“ იარაღითა და სამხედრო მასალებით; რის ნაცვლად შვეიცარა მოვალეა სტრატეგიული ნედლეული მისცეს ამერიკის შეერთებულ შტატებს ან მათი მითითებით დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებს.

შვეიცარის პრესა ცდილობდა უარეყო ეს ცნობა, მაგრამ ეს ძნელი საქმე აღმოჩნდა: ფაქტები ჯიუტი რამ არის და ლიტონი სიტყვებით მათ ვერ უარყოფ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ შვეიცარა უკვე დიდი ხანია დაკავშირებულია ატლანტიკის ბლოკთან. იგი აქტიურად თანამშრომლობდა მარშალის გეგმის ორგანიზაციაში, არის ევროპის საბჭოს, ქვანახშრისა და ფოლადის ევროპის გაერთიანების წევრი, აგრეთვე ირიცხება ჩრდილოეთის საბჭოში, რომელშიც მის გარდა მონაწილეობას იღებენ აგრესიული ბლოკის წევრები დანია, ნორვეგია და ისლანდია.

ამ დღეებში პარლამენტის სხდომაზე შვეიცის კომპარტიის თავმჯდომარემ ჰაგერგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ახლანდელი მმართველი წრეები, აგრეთვე შვეიცის ფინანსური წრეები იდეოლოგიურად და პოლიტიკურად ეთანხმებიან ატლანტიკის ბლოკს და მზარს უჭერენ მას შესაძლებლობისამერ... შვეიცის შეიარაღება სულ უფრო ეგუება ატლანტიკის ბლოკის ყვეყნების შეიარაღებას: შვეიცია ყიდულობს ინგლისის რეაქტიულ თვითმფრინავებსა და ინგლისის ტანკებს, ამერიკის რადიოულ მოწყობილობას და სხვ.“.

შვეიცის ბურჟუაზიული მოღვაწენი არ მალავენ თავიანთ მისწრაფებას უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ „ევროპის გაერთიანებას“. მეკარეკენე პარტიის ლიდერმა იალმარსონმა დაუფარავად აღნიშნა პარლამენტში, რომ საჭიროა „დაირღვეს ომის არასწორი წარმოდგენა, რომ ვითომდა შვეიცის სურს იზოლირება“, და მოუწოდა „აშკარად დაამყარონ კავშირი დასავლეთთან“.

ცდილობენ რა ფეხდაფეხ მიჰყვნენ ატლანტიკის ბლოკის მონაწილეებს, შვეიცის მმართველი წრეები ბერავენ სამხედრო ბიუჯეტს. აძლიერებენ შეიარაღებას და მზად არიან დათმონ შვეიცის ეროვნული სუვერენიტეტი. ამას წინათ პარლამენტის განსახილველად შეტანილ იქნა წინადადება კონსტიტუციის შეცვლის შესახებ. როგორც შვეიცის დეპუტათა ბიურო იუწყება, საქმე შეეხება შვეიცის, სუვერენიტეტის დამორჩილებას „ზესახელმწიფოებრივი ხელისუფლებისათვის“. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ნიუ დაგი“ უსაფუძვლოდ როდი შენიშნავს: „შემდეგი ნაბიჯი, როგორც ჩანს, იქნება ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს გამოაცხადებენ ზესახელმწიფოებრივ ხელისუფლებად“.

დ. ბოჩაროვი.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 16 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ განვლილი დღის მანძილზე სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები ყველა ფრონტზე საარტილერიო ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ. ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 5 თვითმფრინავი.

ვიეტნამის სახალხო არმიის ახალი გამარჯვება

შანხაი, 17 თებერვალი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო ჩრდილოეთ ვიეტნამიდან იუწყება, 10 თებერვალს ვიეტნამის სახალხო არმიის გენერალურმა შტაბმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც იუწყება, რომ მოპოვებულია ახალი გამარჯვება ან-ხეს სექტორში (ცენტრალური ვიეტნამი).

ან-ხეს უღელტეხილი მეტად მნიშვნელოვანი პოზიციაა. იგი ცენტრალური ვიეტნამის სამხრეთი ნაწილის მთიანი რაიონების ჭიშკარია და მდებარეობს კუი-ნიონინდან პლეი კუსა და კონტუმში მიმავალ გზაზე.

ან-ხესთან მძიმე დამარცხების გამო, ნათქვამია ცნობაში, მოწინააღმდეგემ 29 იანვარს დაიწყო დიდი ძალები საზღვაო დესანტის გადასასხმელად კუი-ნიონის სანაპიროზე. ეს ძალები შეიცავდნენ შვიდზე მეტ ქვეითს და საპარაშუტო ბატალიონს, რომელთა მეტი ნაწილი გამოგზავნეს ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამიდან, მტრის სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალების დიდ ნაწილს ცენტრალური და სამხრეთ ვიეტნამიდან, აგრეთვე მანქანებსა და არტილერიას მნიშვნელოვანი რაოდენობით.

მაგრამ 6 თებერვალს გააფთრებული იერიშების შედეგად, რომლებიც სახალხო არმიის ნაწილებმა მიიტანეს, მოწინააღმდეგემ დატოვა კუი-ნიონი.

შეტევითი ოპერაციების მსვლელობაში ორი კვირის მანძილზე სახალხო ჯარებმა გაანადგურეს ექვსზე მეტი დიდი გარნიზონი ან-ხეს სექტორში, გაფანტეს და მოსპეს მოწინააღმდეგის შვიდ ასეულზე მეტი. წამოღებულია ნადავლი.

კომენტარს უკეთებს რა ვიეტნამის სახალხო არმიის გამარჯვებას ან-ხეს სექტორში, რადიოსადგური „ვიეტნამის ხმა“ აღნიშნავს, რომ ამ გამარჯვებამ ჩრდილოეთ ვიეტნამში წარმატებებთან ერთად ფრანგ კოლონიზატორთა შეშფოთება გამოიწვია. საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ინდო-ჩინეთში გენერალი სალანი, საფრანგეთის უმაღლესი სარდლობის სხვა ოფიცრებთან ერთად, სასწრაფოდ გაემგზავრა ოპერაციების ადგილას.

პოლიციის ტერორი დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 16 თებერვალი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში კვლავ მძვინვარებს პოლიციის ტერორი პროგრესული ელემენტების და უწინარეს ყოვლისა კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებიც მოითხოვენ ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა ლიკვიდაციას, იბრძვიან მშვიდობისათვის და გერმანიის ერთიანობისათვის.

გაზეთ „ფორვერტსის“ ცნობით, გასული კვირის დამლევს დასავლეთ გერმანიის პოლიცია თავს დაესხა გერმანიის კომპარტიის ორგანიზაციებს ჰაგენში, მერხსა და რაინჰაუზენში, მოახდინა ჩხრეკა ამ მიზნით, რომ ეპოვნა „ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები“ გერმანიის კომპარტიის მოღვაწეობის ასაკრძალავად.

ქვემო საქსონიის ლანდტაგის უკანასკნელ სხდომაზე უკანონოდ წაერთვა საპარლამენტო ხელშეუხებლობა გერმანიის კომპარტიის დეპუტატს ლუდვიგ ლანდვერს. ვაიდენში დაუპატიმრეს და სატუსაღოში ჩასვეს მშვიდობისათვის ცნობილი ახალგაზრდა მებრძოლი ვილი გა